ორშაბათი, 23 მაისი № 20

წელიწადი 1911 პირველი

# თემი

ორშაბათი, 23 მაისი № 20

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.
დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 32. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა
1911 წლისათვის
გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 2 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. |

განცხადებათა ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| ტექსტის შუაგულს | 20 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь“.

1904 წელს დაარსებული — 4.400 ფუტის სიმაღლეზე.

## სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

ექ. ვახტანგ დ. ღამბაშიძისა „პატარა-ცემში“ ბაკურიანის რკინის გზაზედ

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, 8–15 წლამდე. 15 თიბათვიდგან 31 მარიამობისთვემდე.

მიიღება: ღარიბი, დაქანცული, სავადმყოფარი, მადა-დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადებული და სხვ., ვისაც ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება და სხეულის გამაგრება.

ფიჭვნარი, დასვენება, საზრდოობა დღეში ხუთჯერ, წყლით ექიმობა, ვარჯიშობა, გასართობი მუშაობა, სეირნობა, მოგზაურობა და სხვ.

დაწვრილებით ცნობების შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ ექ. ვ. ღამბაშიძეს წერილით ბორჯომს.

არის რამდენიმე ოთახი დიდებისთვისაც.

Adresse télégraphique SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

ყოველი ჩალის ქუდები მხოლოდ „სტრობინით“!
პატენტიანი საშუალება.
ქუდი რამდენსამე წუთში სრულიად იწმინდება, მალე შრება. ახალისაგან არ გაირჩევა.
„სტრობინი“
არც აფუჭებს ჩალას და არც ამაგრებს.

## ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ჭია ნაჭამ გაწმენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ღოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.
კონსტანტინე ქავთარაძე.
მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.
მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო.

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის
ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.
ზ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.
წამლობა „606“-ითა

## რესტორანი „კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)
ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.
საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.
სადილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან
მინერალური წყლები
ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით.
ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე წესიერება.
პატივის-ცემით თოფურია.

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## საქართველოს სიძველენი ტ. III

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა,
ე. ს. თაყაიშვილის რედაქტორობით.
ფასი 3 მან. 50 კ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს, რომელთაც 1910 წლის საწევრო გარდასახადი შემოტანი აქვსთ ეს წიგნი უსასყიდლოდ მიერთმევათ წ.-კ. გამ. საზოგადოების კანცელარიაში.

ექიმი
გ. ფ. ნათიშვილი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.
ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი 487.

ექიმი
რ. ს. დავთიანი.
შინაგანი და ნერვების ავადმყოფობა.
დილით 12—1 ს.
საღამოთი 5—7 ს.
კოჩუბეევის ქუჩა, № 22

## ტფილისი, 23 მაისი.

28 მაისს იწყება თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებები.

ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ფინანსიურ დაწესებულებას ქართველ საზოგადოებისათვის მეტია, რადგანაც ყველამ უწყის, რომ თითქმის ყველა ქართული საზოგადო დაწესებულება თბილისის გუბერნიაში უპირველეს ყოვლისა მას მიჰმართავს ნივთიერ საშუალებისათვის.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ქუთაისის გუბერნიაში იქაურ სათავად-მამულო ბანკს. ტყუილად კი არ ეძახიან მათ „ქართულ ხაზინას“.

მაშასადამე ზრუნვა მათი საქმეების გამოწყობისათვის უპირველესი მოვალეობაა როგორც ყველა საზოგადო მოღვაწისა, ისე ჩვენი პრესისა. ამიტომ ჩვენც განვიზრახეთ რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ ჯერ-ჯერობით თბილისის ბანკის მოქმედების შესახებ საზოგადოდ. ჩვენის აზრით ამ დაწესებულების აღმასრულებელ და ზედამხედველ ორგანოების პირველ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ზრუნვა შემოსავლის გადიდებისა და ხარჯის შემცირებისათვის.

სამწუხაროდ, შეგვინიშნავს, რომ ეს ზრუნვა ყოველთვის ყოფილა და მეტადრე ამ უკანასკნელ ხანში არის მეტად დაბალი ხარისხისა.

ბანკის ორგანოები შეეჩვიენ რუტინას, რადგანაც ჰიპოტეკურ ბანკის საქმეების წარმოება არც იმოდენი თავსამტვრევი რამეა, როგორც ამას ზოგიერთი პირები აზვიადებენ.

აქ უფრო, ვიდრე სხვა ფინანსიურ დაწესებულებაში, როგორც, მაგალითად, მოკლე ვადიანი კრედიტის ბანკებია, ნაკლებად არის საჭირო ფინანსიური გამჭრიახობა. ჩვენ, რასაკვირველია, იმას არ ვამბობთ, რომ შესაძლებელია ამ ბანკის სათავეში იდგეს ფინანსიურ ცოდნას მოკლებული ადამიანი. არა. ჩვენი სურვილია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ აქ უფრო, ვიდრე სხვაგან, შაბლონია დამკვიდრებული. საჭიროა მხოლოდ მუყაითობა, გულ-აუცრუებელი მუდმივი მზრუნველობა და ცოდნა ეკონომიურ და სოციალურ პირობების მხრით იმ ადგილებისა, სადაც სესხია გასაცემი.

ამიტომ ყოველთვის, როდესაც მოსამსახურე პირების რიცხვის მომატებაზეა აღძრული ხოლმე ლაპარაკი, საქმის სირთულე აქ მოსატანი არ არის.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ბანკის მართვა-გამგეობაზე ძლიერ ბევრი ფული იხარჯება. ჩვენში ხშირად გაიგონებთ, რომ ეს ხარჯი კანონის და ჩვეულების მიერ დაწესებულ ნორმას არ გადასცილებიაო. მაგრამ განა ამგვარი პასუხი პატივსადებია?... არაოდეს... ხარჯის შემცირება უპირველესი საზრუნავი საგანი უნდა იყოს გამგეობისათვის, რადგანაც, თუ მოვახერხებთ და მართვა-გამგეობისათვის წესდებით დანიშნულ პროცენტს შევამცირებთ, მაშინ კრედიტიც გვეიაფდება და ამიტომ ჩვენი მრავალ-სასარგებლო დაწესებულების შემოსავალიც იმატებს.

მოვიგონოთ, რომ დონის ბანკის აგენტების აგიტაცია ამ ბანკის განყოფილების კავკასიაში გახსნის შესახებ სწორედ ამ მხრით იყო საშიში, რადგანაც მართვა-გამგეობის პროცენტი უფრო ნაკლებია ამ ბანკში, ვიდრე ჩვენსაში. ეს გარემოება უპირატესობას აძლევს მას.

თუ დონის ბანკის შუამდგომლობას ფიასკო დაემართა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ნებას არ აძლევს ორზე მეტს ერთგვარ ჰიპოტეკურ საკრედიტო დაწესებულებას იმოქმედოს ერთსა და იმავე რაიონში. მაგრამ ამ კანონის უკუგდება ძალიან ადვილი შეიქმნება მომავალში, რადგანაც კრედიტის გაიაფება ყველასათვის ხელ-საყრელია. მაშასადამე საფრთხე და საშიშროება ჯერ კიდევ სრულიად არა გვაქვს აცილებული. ამიტომ ზრუნვა გვმართებს მოაზრებული როგორც მართვა-გამგეობის ხარჯის პროცენტის შემცირებისათვის, ისე საზოგადოდ კრედიტის გაიაფებისათვის, რომ ამ მხრით მოვიშოროთ თავიდან მოცილენი. ამავე დროს, რასაკვირველია, ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ ბანკის შინაგანი საქმეები საგულისხმოდ იყოს მოწესრიგებული. მხოლოდ მაშინ ჩვენს სიმპატიურ დაწესებულებას მეტოქეებისაგან არა ევნება-რა.

ამიტომ ჩვენ ვერ ვუწონებთ ბანკის მმართველ ორგანოებს შუამდგომლობას კრების წინაშე დამფასებლების, მეორე იურისკონსულტის და სხვა მოსამსახურეების მომატების შესახებ. ეს ტყუილი ხარჯია. შუამდგომლობა გამოწვეულია მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა საქმეები თანაბრად არ არის განაწილებული როგორც არჩეულ, ისე დანიშნულ მოსამსახურეთა შორის.

რომ გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს ოდესმე ეზრუნა, გენერალური და არა ოფიციალური ზედა-პირული რევიზია მოეხდინა, მაშინ უეჭველია ხარჯი მართვა-გამგეობაზე ძალიან შემცირდებოდა, რადგანაც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსამსახურეთა რიცხვი ახლაც დიდია. მაგალითად, ბუხგალტერია არ არის ისე წარმართული, როგორც საქმეს ესაჭიროება. ჩვენ ვფიქრობთ, ერთხელვე რომ შეემუშავებინათ წესი მისი წარმოებისა სხვა ბანკების მიხედვით, მაშინ მოსამსახურეთა რიცხვიც შემცირდებოდა და საქმეც უფრო შესაფერად მოეწყობოდა. ჩვენ კი ამ მხრით მისდევთ მარტო შაბლონს და თავსაც არ ვიტკივებთ მისი სათანადო შეცვლისათვის.

ვნახოთ, რას წარმოუდგენენ, ამის შესახებ რუსეთის საზოგადოების დავალებით საგანგებოდ გაგზავნილი თანამდებობის კაცნი. იქნებ, თვალ-საჩინო რამე წარმოგვიდგინონ, თუმცა ძალიან ვეჭვობთ, რადგანაც ისინი პეტერბურგს გარდა, სხვაგან, მგონი, არც კი უდევნებიათ თვალყური საბუღალტერო საქმის წარმოებისათვის. თუ ჩვენი ეჭვი გაგვიქარწყლეს გაგზავნილმა პირებმა, ჩვენ ფრიად მოხარული დავრჩებით.

დამფასებლების მომატებას სრულებით აზრი არა აქვს. თუ სამუშაო ბევრი აქვთ, შეიძლება უფრო წესიერი განაწილება. მაგალითად, ჩვენის აზრით ძალიან ადვილად შეიძლება წესდება ისე შეიცვალოს, რომ თბილისის მსესხებელთა ქონების დაფასება მიენდოს აგრეთვე თვით გამგეობის წევრებსაც, როგორც ეს საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაშია. ჩვენი გამგეობის წევრებს არც იმდენი სამუშაო აქვთ, რომ ეს საქმე ვერ იკისრონ. საზოგადოდ, ჩვენ მავნებლად მიგვაჩნია, რომ დაფასების მოვალეობა წესდების ძალით დაკისრებული აქვს ცალკე კომისიას, რომლის წევრებს ირჩევს რწმუნებულთა კრება. ეს წესი მეტად მავნებლად მიგვაჩნია, რადგანაც მთავარ აღმასრულებელ ორგანოს ყოველთვის შეუძლია ზარალის დროს პასუხად ის გვითხრას, რომ დამფასებლებს თქვენ ირჩევთ და არა ჩვენო. დაფასების და სესხის გაცემის ფუნქცია-მოვალეობის გაყრა არ შეიძლება. ეს საქმე უფრო უკეთესად სწარმოებს იმ ბანკებში, სადაც ეს ორი ფუნქცია შეერთებულია. ჩვენის აზრით, რადგანაც გამგეობას არ შეუძლია მთელი სადამფასებლო საქმის გაძღოლა, ამიტომ კომისია დამფასებელთა უნდა არსებობდეს გამგეობასთან, ხოლო წევრებს უნდა ირჩევდეს თვით გამგეობა საკანტროლო ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. მაშინ ისე ადვილად ვერ მოჰყვებიან სადამფასებლო კომისიაში ისეთი პირები, რომელთ მოქმედებას აურიცხველი ზარალი მოაქვს ბანკისათვის. რომ ვისმეს შეხვდეს დრო და მოცალეობა, გადასინჯოს ბანკის დაარსებიდან ცალ-ცალკე დამფასებელთა მოქმედება, გაჩხრიკოს საქმეები, ჩვენ დარწმუნებული ვართ, აღმოაჩენს იგი საშინელ თანხას, რომელიც უტყუვრად დაუმტკიცებს ურწმუნოს, თუ რა დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას „ზერელად“ არჩევა ამ მძიმე მოვალეობის აღმასრულებელ პირთა.

მაგრამ ამაზე სხვა დროს მოვილაპარაკებთ. ახლა კი ვიტყვით, რომ ბანკის საქმეების მსვლელობაზე, ჩვენის აზრით, ძლიერ დიდ გავლენას იქონიებს ის რწმუნებულთა ჯგუფი, რომელიც შარშანდელს აქეთ მიუდგომლად არკვევს საბანკო საქმეებს და არჩევნებისათვისაც ზრუნავს. ჩვენ კარგა ხანია ვლაპარაკობდით ამგვარ მმართველ ჯგუფის შექმნაზე და სწორედ სასიხარულოა, რომ მის დაარსებას შევესწარით. სალამით ვეგებებით მას. ვინატრით, რომ იგი არ გადიქცეს დღე-მოკლე მოვლენად. თუ იგი მიუდგომლობის და მუყაითობის გზას არ გადუხვევს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ყოვლად სასარგებლო ფინანსიურ დაწესებულებას.

---

ქ. გორში 15 მაისს ახლად დაარსებულ

ქართულმა სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გამართა ქართლის ბაღის პატრონთა პირველი კრება.

არ შეიძლება ამ ნაბიჯს არ მიეგებოს სიხარულით ჩვენი დაბეჩავებული მეურნეობის გულ-შემატკივარი.

ჩვენ მხოლოდ სამწუხაროდ ის მიგვაჩნია, რომ კრებას არ დაესწრნენ ის ბაღის პატრონნი, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთ ბაღების კარგის მოწყობით. მაგალითად, ამ კრებას არ დაესწრნენ ვასილ მაჩაბელი, ისაია ფურცელაძე, გორის მარშალი ნიკოლოზ თუმანიშვილი, ალექსანდრე ფავლენიშვილი იოსელ ნატროშვილი და სხვ.

რასაკვირველია, მერეც შეიძლება როგორც ამ პირთა, ისე დანარჩენთა მოწვევა. საქმე დაწყება იყო და აკი კიდეც საძირკვლის პირველი ქვები ჩაჰყარა სამეურნეო საზოგადოების საბჭომ. გაგრძელება ახლა გორის თათბირზე არჩეულ ბიუროს საქმეა. ამან უნდა მოახდინოს რამდენიმე კრება ამ მაზრისათვის მრავალ მნიშვნელოვან საქმის მოსაწყობად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუმცა საქმე მეტად რთულია, რადგანაც საგანი მრეწველობისა—ხილი—მალე და ადვილად გასაფუჭებელია, მაგრამ მაინც შეიძლება ხილის გაყიდვის საქმის სამაგალითოდ მოწესრიგება. ეს საკითხი ახალი არ არის. კარგა ხანია მას ეტრფიან ბევრნი.

ჩვენ გვახსოვს ამ აზრით გატაცებული იყო ვასილ მაჩაბელი, რომელსაც თავის დროზე მოლაპარაკება ჰქონდა თბილისის კომერციულ ბანკის გამგესთან კონსტანტინე ალიხანოვთან. ბ. ალიხანოვი ძალიან მოწადინებული იყო გაეხსნა ფართო კრედიტი ამ საქმისათვის. უეჭველია, იგი არც ახლა იქნება სხვა აზრზე.

თქმა არ უნდა, რომ სახელმწიფო ბანკის კონტორის მმართველი დიმიტრი ბეზობრაზოვიც მიეშველება ამ თაოსნობას, რადგანაც, რამდენადაც ვიცით, იგი თანაუგრძნობს ჩვენი მეურნეობის აყვავებას.

არ გვგონია, რომ ვოლგა-კამის და აზოვ-დონის ბანკებმაც უარი სთქვან კრედიტის გახსნაზე.

ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ იმ ბანკებს, სადაც კრედიტი უფრო იაფია. თორემ ჩვენს სამეურნეო ბანკს არ ძალუძს დახმარების გაწევა, რადგანაც მისი პროცენტი ნამეტანი დიდია და ახლად დაწყებული ნორჩი საქმე ვერ გაუძლებს ამ სიდიდეს.

რასაკვირველია, ამ საჭირო და სასარგებლო საქმის სათავეში უნდა ჩადგნენ ისეთი პირები, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ ნდობა და ცოდნა და არა ჯამაგირის, თბილ ადგილების მონატრულნი.

მხოლოდ მაშინ შეეძინება ამ საქმეს ფინანსიური და სამრეწველო კრედიტი. საქმის გასაძღოლად და წარსამართავად უნდა მოიწვიონ ვინმე მცოდნე საზღვარგარეთიდან და მიუჩინონ მათ აქაური ბაღის საქმეში გაწაფული პირი.

ბაღის პატრონთა საზოგადოებას ამავე დროს უნდა მიეცეს ამხანაგობის ხასიათი იმ სახით, როგორიც აქვს „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოებას ისე, რომ ყველა ბაღის პატრონი მოვალე იყოს თავის ხილი მარტო ამ ამხანაგობის საშუალებით გაჰყიდოს.

რადგანაც ჩვენ ერთხელვე დავისახეთ ცალიერი სიტყვების რახა-რუხით კი არ გავართოთ მკითხველი, ამიტომ აქვე მოვალედ ვრაცხთ მივუთითოთ იმ პირებზე, რომელნიც საჭირონი არიან სათავეში დასადგომად. ეს პირები არიან ზემოდასახელებულნი ბაღის პატრონნი. თუ ესენი მოისურვებენ, მათ შეუძლიათ ახლავე გაუმაგრონ ზურგი ამ თვალსაჩინო საქმეს კრედიტის მოპოვებით.

ამიტომ მოველით მათგან შესაფერ ზრუნვას საზოგადო საქმისათვის.

## გრ. რობაქიძის ლექცია.

ოთხშაბათს, 18 მაისს, გრ. რობაქიძემ ქართულ თეატრში წაიკითხა ქართულ ენაზე ლექცია — „ფრიდრიხ ნიცშე“, რომლის შინაარსი უკვე მოყვანილი იყო სქემატიურად „თემში“. — რა გვითხრა ლექტორმა, როგორ აგვიხსნა ნიცშეს ფილოსოფია, მისი ბუნება? ეს ფილოსოფოსი არ არის, როგორც სხვები, ბრძენი, მეცნიერი, რომელიც დალაგებით ლაპარაკობს, აზროვნობს და ამით დამთავრებულ სისტემას ქმნის; — არა, ნიცშე მხატვარია, ესთეტიკოსია, რომელიც გენიალური ინტუიციით სწვდება დიდებულ პრობლემებს და სიმტკიცით სწვდება მათ. ვისაც ნიცშეს ფილოსოფიის გაგება უნდა, სთქვა ლექტორმა, მან უთუოდ უნდა განიცადოს იგი, უნდა იგრძნოს თვითონ დიდებული მხატვარი-ფილოსოფოსი; ამასთან აუცილებლად საჭიროა იმ ორი კულტის გაცნობა: დიონისეს და აპოლონის, რომელნიც ქვა-კუთხედად დაედვნენ ფილოსოფოსის აზრთა განვითარებას. დიონისეს კულტი დაიბადა ფრაკიაში; ადამიანი — ამბობს ეს კულტი, განსაზღვრულ დროს, გრძნობს თავის ბუნებაში ღმერთს დიონისეს, რაც განუსაზღვრელ სიხარულში, ნდომაში, — ორობაში გამოიხატება. ამისათვის ფრაკიელებს დანიშნული ჰქონდათ უქმეები, როდესაც ისინი საშინელი ღრიალითა და მხიარულ ყიჟინით გაემართებოდნენ ერთ ადგილისაკენ, სადაც მათ უცდიდა სიცოცხლის ღმერთისათვის მისატანი მსხვერპლი; ჰკლავდნენ მას, სისხლს სვამდნენ მისას და უმ ხორცს ყლაპავდნენ. ამ კულტს ელლადაში ფორმა მისცეს — ჰქონდათ პრინციპი დიონისესი გაიშალა მთლიან აპოლონის კულტში: გრძნობა დაექვემდებარა აზრს და აქედან იშვა საბერძნეთის დიდებული ტრაგედია; მუსიკამ — დიონისემ და აპოლონმა — სკულპტურამ ჰპოვეს თავისი დამთავრებული სინთეზი ამ ხელოვნების დარგში. მუსიკა — ეს ის ხელოვნებაა, რომელიც ყველაზედ უფრო ახლოებს ადამიანის მეს კოსმოსს; აპოლონის კულტი — ეს ის პრინციპია, რომელიც სწყვეტს ამ დაახლოვებას — დაახლოვებას ქაოტიურსა და დინჯათ ჰქმნის პიროვნებას — „მეს.“ აი ეს ორი პრინციპი ფიანდაზად გაიშალა ნიცშეს ფილოსოფიაში და წარმოშვა **მარადის დაბრუნებისა და ზეკაცის**, როგორც თვითონ ლექტორი ამბობს, **ზესთადამიანის** იდეა. ზესთადამიანობა ისე კი არ უნდა გვესმოდეს, თითქოს ნიცშე ულმობელი, სასტიკი ვინმე იყოს; სრულებითაც არა: ჩვენ ფილოსოფოსს სძულდა, ეზიზღებოდა ის უფერულობა, ის ბნელეთი, რასაც დღევანდელი საზოგადოებრივი განწყობილება წარმოადგენს, დიახ ეზიზღებოდა, მაგრამ მით უფრო უყვარდა ის **შორეული**; რომელიც — სწამდა — განხორციელდებოდა მომავალში; ნიცშეს არ უყვარდა დღევანდელი „დაბნელებული მზე“, რადგან იცოდა ხვალინდელი დააბნელებდა მას თავისი მაცოცხლებელი სინათლით, — ეს არის იდეა „სიყვარულის შორეულისადმი“. ჩვენც — თქვა ლექტორმა — ქართველებს გვეზიზღება, გვძულს ერთმანერთი, მაგრამ როდესაც რაიმე მოვლენა წამოგვიყენებს თვალწინ იდეას ქართველობისას, მაშინ ჩვენ ვკარგავთ უფერულ სახეს და შეერთებულნი ვუახლოვდებით ნამდვილ „მეს.“ აი ის აზრთა მსვლელობა, რომელიც საჭირო იყო მოგვეყვანა მის დასამთავრებლად, რაც უკვე დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში. ლექცია მართლა მშვენიერი იყო: ორგანიული, დამთავრებული ფორმასა და შინაარსის მხრივ, კარგათ წაკითხული. ძალიან სასიამოვნოა ქართველი ინტელიგენტია, რომელიც ცირკში, ბაღებში და სხვ. სიამოვნებით ატარებს დროს ქართულ ლექციაზე კი არ დაიარება. ნუ თუ ამართლებს იგი ნიცშეს აზრს კაცუნების ფსიხოლოგიის შესახებ? შემდეგ ნომერში აზრადა გვაქვს ლექციის გარჩევა.

მან-წილი.

## ჩუმი მუშაობა.

ბევრჯელ გვისაყვედურნია ჩვენი ქალებისათვის უსაქმურობა და საზოგადო საქმისადმი გულ-გრილობა. მაგრამ ეს ყოველთვის მართალი არ გამოდგება.

ამას წინად გაზ. „თემში“ აღნიშნული იყო თუ რაოდენი მუშაობის უნარი გამოიჩინეს იმ მანდილოსნებმა, რომელთაც მოაწყეს გაბაშვილის მეუღლეს ეკატერინეს იუბილე და გამოსცეს მისი თხზულებანი ერთ დიდ წიგნად. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ პატივცემულ მწერლის თხზულების გამოცემას იქნება კარგა ხანს არ ვღირსებოდით.

ახლა ამ პატარა წერილში ჩვენ გვინდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი საქმე, ქართველ ქალებისაგან დაწყებული.

ამ რამდენიმე წლის წინად დაარსდა ქართლში, სოფელ ახალქალაქს სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა, რომელსაც დაერქვა სახელად „თამარის“ ამხანაგობა.

ამ ამხანაგობას მიზნად აქვს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თბილისის გუბერნიაში მცხოვრებ მეურნეებს და სოფლელ მეოჯახეებს, რომელნიც აწარმოებენ და ამუშავებენ სამეურნეო დარგის ნაწარმოებს, მაგ: აბრეშუმს, ყაჭის პარკს და თესლს, მატყლს, აბრეშუმეულ, შალის და ბამბის ქსოვილებს, კვერცხს, ცოცხალ და დაკლულ ფრინველებს, თაფლს, სანთელს, მწვანილეულობას, წნილებს და სხვ.

ამხანაგობას ბევრი უფლება აქვს შეძენილი წესდების ძალით მას შეუძლია საუკეთესოდ მოაწყოს ამ მიზნისადმი სამსახური.

ამხანაგობამ უპირველესი ყურადღება მიაქცია ყაჭის პარკის და თესლის წარმოების საქმეს.

მას დაეხმარნენ ნივთიერის მხრით ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც გადასცა 400 მ.; პატივცემული ქ-ბ. ნინო ქობულაშვილისა, გორის თავად-აზნაურობა, რომელმაც ამ საქმისათვის გაიღო 500 მ. წინადაც და ახლაც მხურვალე მონაწილეობას, როგორც საქმის წარმოების ისე ნივთიერ დახმარების მხრით იღებს თავად თარხნიშვილის ასული ელისაბედი, რომელმაც მთელი თავის ღონე და შეძლება თითქმის მარტო ამ საქმეს შესწირა.

მასთან ერთად ერთგულად მუშაობდენ და მუშაობენ სხვა და სხვა სოფლებში ქართველი ქალები, „თამარის“ საზოგადოების წევრები.

როგორც ახლა შევიტყეთ, ამ ამხანაგობას სჭირია სახარშავი მანქანების შეძენა და ფარდულების აგება. უამისოდ ამხანაგობა იძულებულია პარკები ჰგზავნოს ქუთაისში, სადაც იქაურ საზოგადოება „კოლხიდას“ ნება-სურვილზეა დამოკიდებული შეძენა ამ ნაწარმოებისა. გზაში „თამარის“ ამხანაგობას დიდი ზარალი მოსდის, რადგანაც ვაგონებში პარკებიდან პეპლები გამოდიან.

ამნაირად ვერ არის ეს საქმე რიგიანად მოწესრიგებული და ეს მხოლოდ უსახსრობის ბრალია.

გლეხკაცობაში კი დიდი ნდობა აქვს დამსახურებული ამ საზოგადოებას. თესლს მარტო ამ ამხანაგობისაგან ყიდულობენ.

ჩვენის აზრით ამ ყოვლად სასარგებლო დაწესებულებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ. ახლავე უნდა გაეცნოს მის საქმეთა მსვლელობას, პრაქტიკულად საქმის მოწყობასა და გეგმის შემუშავებაში დაეხმაროს. თუ ეს საზოგადოება ამ ამხანაგობას მზრუნველობას არ გაუწევს, პირდაპირი დანაშაულობა იქნება მის მხრით. ეს მისთვის მით უფრო ადვილი საქმეა, რომ მას ადგილობრივ ეყოლება მისი სურვილის მხნე აღმასრულებელნი.

მეტადრე ეს საზოგადოება უნდა დაეხმაროს ახალქალაქში წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსებაში. ამ უკანასკნელს შეუძლია დიდი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს „თამარის“ საზოგადოებას.

აგრეთვე ჩვენ მივაქცევთ თავად-აზნაურობის დაწესებულებათა ყურადღებას ამ საქმისადმი. საჭიროა, რომ მისი მოგების და საზოგადოდ შემოსავლის განაწილების დროს უსათუოდ რამოდენიმე თანხა გადიდოს ამ საქმისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს თხოვნა შესრულებული იქნება.

იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ქართველ ქალებს ამ საქმეში მამაკაცებიც დაეხმარებიან და ეს სასარგებლო საქმე ამ მოკლე ხანში სასურველ და მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

გულ-შემატკივარი.

## წერილი გურიიდან.

**მასწავლებლების საყურადღებოდ.**

— „Ваше Превосходительство, общество собирается застрѣлить меня, помогите, переведите“... და სხვა — სწერს ერთი გურიის სამინისტრო სკოლის ზედამხედველი ამ დღეებში დირექტორს... დირექტორიც ისწრაფვის „საბრალო მასწავლებელი“ სიკვდილს გადაარჩინოს... „მხეცი საზოგადოებისგან“ დაიხსნას და დაუყონებლივ გადაჰყავს იმ ალაგზე, სადაც „შეშინებული“ მასწავლებელი უჩვენებს...

რაშია საქმე?! ნუ თუ მართლა არის გურიაში ასეთი საზოგადოება. რა ჩაიდინა ასეთი, რომ მთელ საზოგადოებას მისი სიკვდილი გადაუწყვეტია?! მაგრამ საზოგადოება აქ არაფერ შუაშია, მას ფიქრადაც არ მოსვლია მასწავლებლის შეურაცხყოფა. მასწავლებელს მხოლოდ თავის სოფლის მახლობლად უნდოდა სამსახური. მან გაიგო ადგილი რომ დაიცალა და რადგანაც უმიზეზოდ დირექტორი ასე უდროოდ დროს არ გადაიყვანდა, ამიტომ საზიზღარ ცილისწამებას არ მოერიდა და მთელი საზოგადოება კერძოდ და საზოგადოდ გურია, ასეთი სახელით მონათლა!... რის ღირსია ასეთი მასწავლებელი, ან როგორი ზნეობრივი და კონებრივი აღზრდა შეუძლია მას ჩვენი ნორჩი თაობის, — ამას განმარტება არ ესაჭიროება. ვინ უნდა მიაქციოს ამას და სხვებს ასეთებს ყურადღება თუ არა ისევ თვით ამხანაგ-მასწავლებლებმა და და ინსპექტორმა?! მარა ინსპექტორს ასეთ საქმისათვის კი არა, სკოლებში რევიზიის მოხდენისათვისაც არ სცალია... მას ჯამაგირი რაა, ისიც კი ვერ მიუწვდია თავის მასწავლებლებისათვის თავის დროზე.

— „ინსპექტორი ჩვენც გვესტუმრა სააღდგომოდ; „რევიზიაც“ ასეთი უნდა“ — მწერს ერთი მასწავლებელი. როგორც ხედავთ, ის რევიზიას არსად არ ახდენს. დაიბარებს სარევიზიო ჟურნალებს და ჩასწერს იმას, რაც მასწავლებელზე პირადად წარმოდგენა აქვს.

ასეთი კარგი შეხედულების იყო ინსპექტორი ერთი სკოლის ზედამხედველზე, რომელსაც ამ დღეებში უკეთესი ადგილი მისცა, ნამდვილად კი გამოირკვა, რომ მასწავლებელი ამის ღირსი არ ყოფილა, რადგანაც სასწავლებლის ფინანსიური მხარე უყურადღებოდ ყოფილა მიგდებული და ხსენებულ ზედამხედველს სკოლის ორას მანეთზე მეტი გაუფლანგავს...

მასწავლებლები უფრო — ერთ შემთხვევაში ვერ ასწავლიან რიგიანად. მეხუთე განყოფილების მოწაფეებმა არ იციან რამდენია შვიდჯერ რვა, არ იციან, რა არის ნაწილაკი („დრობი“), არ იციან ვინ იყო საქართველოს უკანასკნელი მეფე, არ გაუგია, რომ საქართველოს მეფემ საქართველო რუსეთს გადასცა და სხვა... წარმოიდგინეთ, ასეთ მოწაფეებს ოთხებით გადაუყვანიათ ხუთი განყოფილება!.. თავის თავად ცხადია, ამ სასწავლებლებში არავის შეუხედნია „რევიზიის“ მოსახდენად.

საბედნიეროდ ამას ყურადღება მიაქცია ამ ბოლოს დროს ზოგიერთმა დაინტერესებულმა მასწავლებელმა ახლა თვითონ ახდენენ მოწაფეების გამოცდას ერთი მეორის სკოლაში. აგრეთვე აძლევენ სანიმუშო გაკვეთილებს და შენიშვნებს უკეთებენ ამხანაგისაგან მიცემულ გაკვეთილს.

თვითეულ მასწავლებელს, გადაცემის თავისი მეთოდი აქვს. ერთს ასეთს გაკვეთილის გადაცემას მე დავესწარი და დარწმუნდი, რომ ასეთი გადაცემის გამოცდა ნაყოფს გამოიღებს ერთი მასწავლებელი აძლევს გაკვეთილზე სრულიად ახალ მასალას, სხვები ყურს უგდებენ შენიშვნებს იწერენ, გადაცემის შემდეგ იწვევენ თავმჯდომარეს და ყველანი გამოსთქვამენ თავთავიანთ აზრს, საიდანაც ირკვევა, თუ როგორი გადაცემის მეთოდია უფრო სასურველი, როგორ უნდა იქცეოდეს მასწავლებელი სკოლაში, ან რა შეცდომები ჩაიდინა ამხანაგმა და სხვა.

ასეთი გამოცდა შემოიღეს ჯერ-ჯერობით ჩოხატაურის რაიონის მასწავლებლების ერთმა ნაწილმა. სასურველია ამ მაგალითს რომ სხვებიც მიჰბაძავდნენ, რადგანაც ეს არავითარ ხელმისაწვდომი კურსები ჯერ-ჯერობით ჩვენი მასწავლებლებისათვის არ არსებობს, საიდანაც შეიძლებოდეს რაიმე გამოცდილების მიღება და მაგალითების გადმოღება. ესეც, რომ არ იყოს, მასწავლებლები შეიკრიბებიან ერთად მსჯელობენ, თავისი აზრის საერთოდ გამოთქმას, თვითეულ მათგანს მოემატება მეტი გამბედაობა, მოწაფეებიც გათამამდებიან და ის აღარ დაემართებათ, რაც ამას წინად დაემართა ერთი მასწავლებლის სკოლაში უფროსის შესვლის დროს...

— ა.

## ფელეტონი

### მ მ უ ლ ხ ა რ!

(ლექსი პროზად)

მძულხარ!
არ მომეკარო!
გა... გამეცალე!
შენი ღიმილიც კი შეურაცმყოფს.

შენ არ იყავი, რომ ამიფორიაქე გული წმინდა, სული მაღალი?

შენ არ იყავი, რომ ამიწიოკე გრძნობა ნორჩი, — ფიქრთა სალარო?

შენ არ იყავი, რომ სინამდვილედ გარემოირტყი ჩემი ოცნება?

შენ არ აქციე მტვრად ჩემი ლოცვა და ამაფრენა ზე-ქვეყნიური?

შენ არ იყავი, რომ ცრემლი ჩემი მთის ამაყ შუბლსა აიაზმად სტყორცნე, ასხურე?

შენ არ იყავი, რომ თეთრი ნისლის ლეჩაქ-მანდილით შესუდრე ჩემი საოცნებო სიცოცხლის ვარდი, — ვარდი ჯერ ისევ ტბის გულ-მკერდზე მიძინებული, ვარდი ჯერ ისევ გაუშლელი, ნორჩი, უმწიკვლო... და გულ-საკლავად ყლორტზე ჩაჰკალ, ყლორტზე მოთუთქე?

შენ არ იყავი, ტალღა ტალღას შეუტყლაშუნე და ჯადოსნური ხმით, ხითხითით, გრძნეულ თილისმით ზღვა ცრემლებისა გადალახე, გასჭერ, გასცურე?

შენ არ იყავი რომ...

ჰოი, სატანავ! მითხარ... მითხარ გამაგებინე: — რომელი ერთი მოვიგონო და ჩამოვთვალო?

...და შენ კი ყველა ამის შემდეგ... და შენ კვლავ ბედავ და საალერსოდ ფრთაგაშლილი იწევი ჩემსკენ?

არარაობავ! გამეცალე, ჩამოსწყდი ჩემს სულს.

ვერა, ვერ დამძლევ. ოჰ, ვერ გამხვევ კოცნისა ალში.

გა... გამეცალე!
არ მომეკარო!
მძულხარ!

ი. გრიშაშვილი.

### „ჯიხვთა ჭიდილი“

**დრამატიული ნაწყვეტი 1 მოქმედებად.**

(დასასრული *)

**გამოსვლა მესამე**

**მეგობარი და ცოლი.**

**ცოლი.** (შემოაღებს კარებს, გადმოადგამს ერთს ნაბიჯს ახედ-დახედავს მეგობარს, რომელიც გატაცებით შეჰყურებს მას და ცივად). როგორც ხედავთ მე შევასრულე თქვენი სურვილი... არ დაგერიდეთ და თვითონ მოვედი... რას მეტყვით?..

**მეგობარი.** (ხელებს გაუწვდის) გამიგონეთ.. გემუდარებით, ნუ, ნუ იჩენთ ჩემდამი ასეთს გულცივობას... მე ხომ ადამიანი ვარ, გული მაქვს და გრძნობა... არ შემიძლიან მეტის მოთმენა...

**ცოლი.** (აწყვეტინებს ცივად) ჩემი წერილები რა იქნა?

**მეგობარი.** (ნელა მიუახლოვდება მაგიდას, გამოაღებს უჯრას, ამოიღებს წერილების კონას და გაუწვდის მას) აი ისინიც; დიდი ხანია თქვენი ბრძანებისამებრ, ერთად მოუყარე თავი თქვენდა გადმოსაცემად.

**ცოლი.** რად ითხოვდით ჩემგან, რომ უეჭველად მე თვითონ მოვსულიყავ წერილების უკან წასაღებად?

**მეგობარი.** (ნაღვლიანის კილოთი) მოგითხოვდი თქვენგან? არა, ათასჯერ არა! პირ-იქით, მე გთხოვდით, გემუდარებოდით, რომ ეს უკანასკნელი მოწყალება მაინც მოგეღოთ ჩემდამი. როგორც მძიმედ დასნეულებული და სასიკვდილოდ გამზადებული ადამიანი სიკვდილის წინ ითხოვს, რომ ფანჯარასთან მიიყვანონ, რათა ერთხელ კიდევ დასტკბეს ბრწყინვალე მზის ცქერითა და უკანასკნელი სალამი უძღვნას თვალ-უწვდენელ „ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტს“ სამყაროს, ისე მეც გემუდარებოდით. უკანასკნელად მაინც მოსულიყავით ჩემთან და თქვენის აქ ყოფნით შეგემსუბუქებინათ საშინელი ტანჯვა იმ ადამიანისათვის, რომელსაც თქვენ ასე უიმედოთ უყვარდით წარსულში და უყვარხართ ეხლა.

**ცოლი.** (ცივად და უკმაყოფილოდ) როგორც მახსოვს, ჩემდამი მოწერილს თქვენს უკანასკნელს წერილში მპირდებოდით და პატიოსანს სიტყვას მაძლევდით, რომ ჩემი აქ ყოფნის დროს კრინტსაც არ დასძრავდით სიყვარულზე...

**მეგობარი.** (მოიღრუბლება, დაიწევს უკან, მიუახლოვდება მაგიდას და შეჯახედ, ასე რომ ქალსაც კი გაუკვირდება მისი). რასაც დაგპირდით პირნათლად შევასრულებ, სწორედ ისე, როგორც, საზოგადოდ, მჩვევია ყველგან და ყველაფერში. ეეხ, რა მეთქმის! მას შემდეგ, რაც თვალი თვალს მოშორდა სჩანს, — გულიც გადახვაფერდა და ბევრი... ბევრი რამ შეიცვალა...

**ცოლი.** (კილო შეცვლით) თქვენ იწერებით, რომ კვლავ განიძრახეთ ძველი სურვილის სისრულეში მოყვანა, ე. ი. საზღვარ-გარედ ხელ-მეორედ წასვლა და სამშობლო მხარის დატოვება... ეხლა როგორ ჰფიქრობთ?..

**მეგობარი.** (ნაღვლიანად) დიახ, მივდივარ! მაგრამ მივდივარ ბევრად უფრო შორს, ვიდრე თქვენ ჰფიქრობთ, და ვიდრე ამ ნახევარი საათის წინად მე თვითონ ვფიქრობდი.

**ცოლი.** არ შეიძლება ვიცოდეთ, საით?

**მეგობარი.** (მწარე ღიმილით) იქით, სადაც წასული ბევრი გვინახავს, მაგრამ დაბრუნებული კი — არა.

**ცოლი.** თქვენ კიდევ თქვენსას არ იშლით და ნაცნობ ჰანგზე აჟღერებთ ჩანგურს... და, თვითონ თქვენც, მთელის თქვენის არსებით, ეს თქვენი ოთახიც ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს ეხლა ჩემზე, რომ უნებურად მიღვიძებთ გულში მიყუჩებულ სევდა-კაეშანს და აქ ყოფნის წუთებს მიწამლავთ...

**მეგობარი.** სწორედ ასეთს წუთებს განიცდის ადამიანი, როდესაც შეჰყურებს საიმქვეყნოდ გამზადებულ მომაკვდავის სიცოცხლესთან უკანასკნელს შებრძოლებას... ერთი მძიმე ამოოხვრა, ერთი უილაჯოთ ხელის გაქნევა და... ადამიანი აღარ არსებობს. ყველა იქ მყოფთ, რაღაც იდუმალი, სევდა-კაეშანი იპყრობს, იმონავებს და უენო არსებათ ჰქმნის. ეს იმიტომ ხდება ასე, რომ მართლაც საშინელი რამ სწარმოებს ჩვენს გარშემო მაშინ, როდესაც ერთი კვდება და სამუდამოდ ემშვიდობება ამ ქვეყანას და მეორე კი — დარწმუნებული თავისს სრულს უძლურებაში იმ სტიქიურ ძალის წინაშე, რომელსაც სიკვდილი ეწოდება — მხოლოდ უბრალო მაყურებელის როლს ასრულებს ხოლმე. ესეც რომ არ იყოს, თვით საიმქვეყნოდ გამზადებულ ადამიანში არის ისეთი ფატალური და ტრაღიკული რამ, რაც ჩვენში, ჩვენდა უნებურად, იწვევს რაღაც გამოურკვეველ სევდა-კაეშანის გრძნობას. თქვენ მართალი ხართ, წინაგრძნობა სრულიადაც არ გატყუებთ: მე ეხლა ზედმეტი მუწუკი ვარ ამ ქვეყნად და სხვა არაფერი!..

**ცოლი.** მერე რისთვის, რად? რამ მიგიყვანათ ასეთს დასკვნამდე და საკუთარ თავის უარყოფამდე?.. გამოგიტყდებით, როდესაც აქეთ მოვდიოდი, სულ სხვა გვარად მქონდა წარმოდგენილი ჩვენი შეხვედრა. თქვენში, თავდაპირველად, ისეთის ადამიანის ნახვას მოველოდი, რომელიც ამაყად შეჰყურებს მოგვარებულს გასაჭირს და საბრძოლველად იწვევს ყოველივე იმას, რაც მის სურვილებს და ნებას წინ ეღობება...

**მეგობარი.** და სამაგიეროდ კი, თქვენის ბედნიერის თვალებით, ისეთი ადამიანი იხილეთ, რომელსაც ფარ-ხმალი უკვე დაუყრია და სავსებით დაჰმორჩილებია ცხოვრების მკაცრ კანონებს, არა! ვიტყვი მეტს: თქვენს წინაშე სდგას ეხლა ის კაცი, რომელსაც თქვენ თვითონ წაჰკარით ხელი და შეუბრალებლად გარდაუძახეთ შავ-ბნელ უფსკრულში.

**ცოლი.** (მსწრაფლ მიუახლოვდება შემკრთალი) ნუ თუ არა ჰხუმრობთ და მართლაც გადასწყვიტეთ — თქვენს თავს ცუდი რამ აუტეხოთ? (ჩქარის ლაპარაკით პირდაპირ თვალებში შესცქერის) თქვენ, ალბად, თავის მოკვლაზე ჰფიქრობთ? იქნებ, ჩემი გულისთვის? ოხ, მითხარით, ღვთის გულისათვის, ოღონდ სრული სიმართლე, გესმისთ, სრული სიმართლე!

**მეგობარი.** დამშვიდდით (ხელს მოჰკიდებს და სავარძელში ჩასვამს, თვითონაც პირდაპირ მოთავსდება). სჯობს თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს... ან რა საჭიროა, ძველ ღრმა ჭრილობათ პირის მოხსნა და მიყუჩებულ ტკივილების კვლავ გამოწვევა. რაც მოსახდენია — უნდა მოხდეს. მე წავაგე დიდი, ძალიან დიდი სანაძლეო და ეხლა მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ პირნათლად მოვიხადო ჩემი ვალი.

**ცოლი.** (წამოიწევს და ტუჩებზე ხელს მიაფარებს) ნუ, ნუ ლაპარაკობთ ასე. ნუ გგონიათ, რომ სიცოცხლემ დაჰკარგა უკვე ყოველივე მნიშვნელობა თქვენთვის. ნურც ასე გაეტაცებინებით წუთიერ უბედურებას... დამერწმუნეთ, ჯერ კიდევ ბევრი ისეთი რამ მოგელისთ ცხოვრებაში, რასაც სავსებით შეუძლიან ძველ ჭრილობათ სამუდამოდ განკურნება-გამომრთელება. წადით აქედან, ამ ადგილებიდან, სადმე შორს, შორს უცხო მხარეში, სადაც ზღვა მარად ელერსება ტურფად აშლილს ნაპირებს და სადაც მრავლად მოიპოებიან ტურფა ასულნი. ერთის მხრით ბუნების მომჯადოებელი სიდიადე, და მეორეს — კეკლუც ასულთა ალერსი სამუდამოდ გაგიქრობთ ბოღმა-კაეშანს და კვლავ სასიცოცხლოდ გიბრუნებთ პირს... გაბოროტებულს შეგაყვარებთ ამ ქვეყანას და სიცოცხლეს..

**მეგობარი.** (თავს აქნევს) ოხ, არა, არა! ტყუილი შრომა იქნება ჩემი აქედან წასვლა და უცხო მხარეში გარდახვეწა... მხოლოდ ტანჯვებს გავიორკეცებ — სხვა არაფერი.. საუბედუროთ, მე არ შემიძლიან ეხლა თქვენზე მოშორებით ყოფნა... ხოლო ამ აუტანელს პირობებში ცხოვრება კი, როგორშიაც ამ უკანასკნელს ხანებში ვიმყოფები — აღარ შემიძლიან. მე უკვე დავკარგე ბრძოლის ნიჭი, დავკნინდი ერთთავად, ხსნა კი არსაიდან არის!..

**ცოლი.** (სიბრალულის კილოთი) გამხნევდით, არც ასე დაძაბუნება შეიძლება... ნუ თუ ყველაფრის იმედი დაჰკარგეთ და მომავალში არაფერი გილიმისთ? აბა, სცადეთ და მოიკრიბეთ ერთხელ კიდევ ძალღონე, გაუმკლავდით ცხოვრების სიდუხჭირეს, კვლავ გაიჩაღეთ ჩამქრალ რწმენაიმედის კერა თქვენს გულში, ახსენეთ ღმერთი და მაშინ ნახავთ როგორც შეიცვლებით და გარდიქმნებით ერთბაშად... თქვენ ხომ გრწამთ ღმერთი?..

**მეგობარი.** დიახ, მრწამს მისი ყოვლად შემძლებლობა და აგრეთვე ისიც, რომ ამ ქვეყნად განვლილ ტანჯვათა მთელი რიგი ნეტარებად შემეცვლება იმ ქვეყნად და იქ მაინც მოვიპოვებ სულის სიმშვიდეს... გამიგონია, ვითომც აღთქმის წიგნში დაწვრილებით იყოს აღწერილი მრავალ-გვარ ნეტარებათ მთელი რიგი, რომელთა პირდაპირი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ ადამის ძეს სავსებით დაავიწყოს ამ გაუტანელ წუთი-სოფლის სახელი და სახსენებელი. არარაობად ქცეულმა, შეიძლება, მართლაც მივცე დავიწყებას წუთი-სოფელი, მაგრამ არა მგონია, რომ ზეცად მოიპოვებოდეს ისეთი ძალა, რომ შესძლოს ჩემის მეხსიერებიდან, ჩემი გულ-გონებიდან ერთხელ და სამუდამოდ წარხოცოს მთელს ჩემს არსებაში შენდამი ღრმად შთასახული ხსოვნა და უნგარო სიყვარული...

**ცოლი.** კმარა, გეყოფა, გაჩუმდი!

**მეგობარი.** არა, სულის სწორო, არ გავჩუმდები (მიუახლოვდება ელექტრონის ლამფას და ფერად აბაჟურს ჩამოაფარებს, ოთახში ცოტათი დაბნელდება). ოხ, რომ იცოდე, რა ბედნიერებას განვიცდი ეხლა, როდესაც ძველს იარებს შევახე ხელი და შეუბრალებლად ვფათურობ შიგ. მე ეხლა თავიანთ რწმენისათვის წამებულ შუასაუკუნოების იმ გმირებს ვგევარ, რომელნიც ტანჯვაში ბედნიერებას განიცდიდნენ...

**ცოლი.** (თითქოს თავისთვის) რასაკვირველია, ასე ერთბაშად რად შემიპყრო რაღაც უცნობმა შიშმა?.. კედლის საათის ერთგვარი რაკა-რუკიც კი რაღაც საშინელს გრძნობას იწვევს ჩემში... რა მემართება ნეტავი — სულ ერთიანად ვკრთი და ვკანკალებ...

**მეგობარი.** შეიძლება წინდაწინვე გრძნობთ საიმქვეყნოდ გამზადებულ ადამიანის უკანასკნელ ჟამის მოახლოვებას? დამშვიდდით... ესეც რომ არ იყოს, განა თქვენთვის სულ ერთი არ არის თუ რა ბედიც ეწვევა მას ამ ახლო მომავალში?..

**ცოლი.** (თითქოს თავისთვის ფიქრებში წასული) ღმერთო ჩემო, როგორ ამიტანა კანკალმა, რა მემართება ნეტა?.. ოხ, ეს წყეული წითელი ფარდა... ნეტა ვიცოდე რას ჩამოგიკიდნიათ ფანჯარაზე; განა სხვა რამ ფერისა და სახის არ შეგეძლოთ გეშოვნათ? აბა, დააკვირდით თუ სისხლით

*) იხ. „თემი“ № 19.

# ახალი ამბები

✦ 11 აპრილის ნომერში ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა, რომ „თბილისში ამბავი მოვიდა, ვიატსკის გუბერნიაში გარდაცვლილა, ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილი მასწავლებელი თომა კევლიშვილი“ და სხვ. ახლა გვატყობინებენ, რომ ეს ამბავი ტყუილი გამომდგარა ამ ხმის გავრცელების მიზეზი ყოფილა ავადმყოფობა ბ. თომა კევლიშვილისა. ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ თ. კევლიშვილი ახლა კარგად იმყოფება. ვუსურვებთ მას დღეგრძელობას და ვინატრით მხოლოდ, რომ იგი მალე დაბრუნებულიყოს სამშობლო ქვეყანაში, რადგანაც იმისთანა სასარგებლო მასწავლებელ-მოღვაწენი ძალიან საჭიროა ჩვენს ობლად დარჩენილ სოფლისათვის მეტადრე ახლა.

✦ 28 თებერვალს ჩვენ გამოცხადებული გვქონდა, რომ ს. გორგაძისაგან მიღებულ თხზულებას „ქართული წყობილსიტყვაობას“ ცალკე წიგნაკად გამოვცემთ და დავურიგებთ უფასოდ ჩვენს ხელის მომწერლებს. ეს თხზულება ავტორს გარდაეცა ამ ერთი წლის წინად ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის საზოგადოების გამგეობისათვის, მაგრამ რადგანაც ეგონა დაკარგული, ამიტომ ჩვენ გადმოგვცა **მეორედ** დაწერილი იგივე ნაწარმოები. ახლა ავტორმა ეს უკანასკნელი თხზულება გამოგვართვა, რადგანაც სიტყვა-კაზმულ საზოგადოების გამგეობამ მოძებნა ორიგინალი. ეს ორიგინალი დაისტამბება გამგეობის-მიერ განზრახულ კრებულში, რომლის ბეჭდვას, როგორც გადმოგვცეს, ამ მოკლე ხანში შეუდგებიან.

✦ გ. ახალციხელი, დ. დუმბაძე. ი. ეკალაძე, ს. მგალობლიშვილი, თ. ნასიძე გვთხოვენ დავუბეჭდოთ მათ შემდეგი წერილი: „ამით ვაცხადებთ, რომ გაზეთ „სინათლეში“, რომელიც გამოდის ბ-ნ ივ. პავლ. როსტომაშვილის რედაქტორობით,—ჩვენ კარგა ხანია მონაწილეობას აღარ ვიღებთ და აღარც შემდეგშიაც მივიღებთ“.

✦ ჩვენ გვწერენ დასავლეთ საქართველოდან, რომ ერთ-ერთის იქაურ მაზრის უფროსთაგანის ო—ის სახლში აღდგომა დღეს შესულა ჩუმად უმწვეილი ბიჭი, რომელსაც შეუტანია ძვირფასი ვერცხლის სერვიზი. ამ სერვიზზე ქართული წარწერებია თურმე, რომელშიაც ო-ი ნაქებია, როგორც საუკეთესო მაზრის უფროსთაგანი გუბერნიაში. ბიჭს ეს საჩუქარი დაუდვია მაგიდაზედ და გაპარულა.

ესე ამბობენ ყველას დასაჩუქრებული და მასიანები. ხმებია, რომ ეს საჩუქარი გამოუგზავნია ერთ-ერთ მდიდარ მემამულეთაგანს.

მაზრის უფროსი თავის-თავს უხერხულად გრძნობს ამის გამო, რადგანაც კანონით მოხელეებს არ შეუძლიათ საჩუქრების მიღება.

უმჯობესი იქნება, რომ მაზრის უფროსმა ეს საჩუქარი რომელსამე საქველმოქმედო საზოგადოებას შესწიროს.

✦ ქართველი მფრენავი ბესარიონ ქებურია აქ ეხლა ამზადებს თავის-მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად მონოპლანის სისტემის მაგვარ საფრენ მანქანას. ყველაფერი უკვე მზადა აქვს. ელის მხოლოდ საუკეთესო მოტორს «გნომს». წინანდელი მოტორი იაფ ფასისა ჰქონდა და მიტომ ვერ ახერხებდა მარჯვედ ფრენას. ახალ მოტორს მიიღებს ერთი თვის განმავლობაში. სცდელ ფრენას გამართავს აქ თიბათვეში. დიდი შრომა და მეცადინეობა გაუწევია ავიატორს. აპარატის მასალა-რეზინის ქსოვილი რუსეთში შეუძენია. ძალიან კარგი თვისებისა აღმოჩენილა. ვუსურვებთ პირველ ქართველ ავიატორს გამარჯვებას.

✦ ქართულ კლუბს, «ახალ კლუბად» წოდებულს ცოტა არ იყოს ბედმა გაუღიმა. გაზ. «ზაკავკაზიემაც» მოწყალების თვალით გადახედა. ეს სიმპტომატიური მოვლენაა ჩასთვალეს. მართლაც გამოდგა. სათავადაზნაურო დაწესებულების წრეებში გადაუწყვეტიათ ბინა სათავადაზნაურო ქარვასლაში დაუთმონ ამ კლუბს. ამბობენ, რომ იგი გაიხსნება ამ მოკლე ხანში. სწორედ სასიამოვნო ამბავია. იქნება მართლა, ერთ ადგილას შეკრამ და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ მოსპოს ჩვენში მუდმივი შფოთი, უსაფუძვლო ქიშპი და პირადი მტრობა..

✦ მოსკოვში დიდის ამბით დაუსაფლავებიათ რუსის დიდებული ისტორიკოსი ვასილ კლიუჩევსკი. გაზეთები უძღვნიან მას მრავალ წერილს. ერთხმად აღიარებენ მიმართულების განურჩევლად, რომ მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია მეცნიერებისათვის.

✦ ფოთში საგანგებო რევიზორის სენატორ ნეიდგარდტის განკარგულებით გაუჩხრეკიათ ზოგიერთი პირები, სხვათა შორის, ქალაქის თავი ნიკოლოზ ნიკოლაძეც. ეძებენ ყველა იმ საბუთს, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს ფოთის ნავთ-სადგურის აშენების ინჟინერ სკარჟინსკის მოქმედებას. შედეგი რევიზიისა ჯერ არავინ იცის.

✦ პ. ირეთელს დაუწერია ახალი პიესა ,,ტარიელ მკლავაძე'' დრამა 4 მოქმედებათ. ტიპები აღებულია ე. ნინოშვილის ცნობილ მოთხრობიდან ,,**ჩვენი ქვეყნის რაინდი**''. როგორც გვიგეთ პიესის საკუთრებათ შეძენას აპირებს სახალხო სახლთან არსებული ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე. პიესას ივნისის შუა რიცხვებში წარმოადგენენ.

✦ პორტუგალიაში რესპუბლიკანურმა მთავრობამ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებზე. დაბეჯითებით ამბობენ მომავალი დამფუძნებელი კრება დაადასტურებს პრეზიდენტ თეოფილ ბრაგას-მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს.

✦ მახლობელ აღმოსავლეთში დიდი აურზაურია. ამას წინად გაგზავნილმა ოსმალეთისადმი რუსეთის დიპლომატიურმა ნოტამ, რომელიც აფრთხილებდა ოსმალეთს შავგორეთს ნუ დაეცემით, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სტამბოლში. მაგრამ რუსეთის დესპანის ჩარიკოვის განმარტების შემდეგ ცოტა დაშოშმინდენ. ოსმალეთის პარლამენტში დიდი კამათი იყო ატეხილი ამის შესახებ. თითქმის ხელ-ჩართული ბრძოლაც კი გაიმართა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა დეპუტატებთან ერთად თვით მინისტრებმაც.

## ბ. სილოვან ხუნდაძის საპასუხოდ.

„თემის“ შენიშვნაზე, რომ ბ. სილოვან ხუნდაძემ მიგვითითოს ჩვენს გაზეთში ნახმარ **უწმაწურ** სიტყვებზე, მან მოიყვანა ზოგიერთი სიტყვები ჩემი წერილიდან, რომელიც იყო დაწერილი მიხეილ მაჩაბლის ერთი არა-საკადრის საქციელის გამო. ამ სიტყვებს სრულებით უწმაწურობის არა სცხიარა. როგორც სჩანს ბ. სილოვან ხუნდაძეს სხვა ნაირად ესმის ეს სიტყვა.

მერე ეს ჩემი კერძო წერილია და არა საპოლემიკო. ყველამ უწყის, რომ იგი დაწერილი იყო მას შემდეგ, როდესაც მიხეილ მაჩაბელმა საპირადო ანგარიშის გამოისობით სრულებით უდანაშაულო პირებს დაგვწამა ანგარება და კალმის მრუდედ ხმარება. ამ წერილმა მარტო ჩვენ კი არ აგვაღელვა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოება, ასე გასინჯეთ თვით მიხეილ მაჩაბლის ახლო თანამომუშავენიცა. მაშასადამე ჩემი წერილი იყო პასუხი შეურაცხყოფაზე და არა პოლემიკა რომელსამე სამეცნიერო საგანზე. ნუ თუ ეს არ ესმის ბ. სილოვანს?...

იმედია, პატივცემული „კოლხიდის“ რედაქცია გადაბეჭდავს ამ ჩემს მცირე განმარტებას.

**გრიგოლ დიასამიძე**

## ბედი მგოსნისა.

ესკიზი

I.

დიდ ხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ახალგაზრდა მგოსანი საპყრობილეში. მწუხარების ტყემ გამოზარდა იგი მომღერლად.

მან შეაჩვია აზროვნებას დაუსრულებელს...

ნიშნად ჰმუნვისა მშვენივრად მოყვანილ მხრებზე წამოისხა შავი მანტია. ერთად-ერთი მისი მეგობარი და გულის მესაიდუმლე ფანდური იყო. თავისუფალი ბუნების შვილი ვერ ურიგდებოდა ამაო სოფელს... ყოველთვის მოწყენილი და ფიქრებში გართული მგოსანი ბედის ამარა, მარტოთ მარტო დადიოდა...

დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძიებდა ხალხთა შორის ადამიანსა, მაგრამ მოსტყუვდა...

ვერსად ვერ ჰპოვა თვისი მსგავსი სათნო, კეთილი, რომ წუთით მაინც განენდო მისთვის საიდუმლება ულევთო ტანჯვისა...

სასოწარკვეთილი იდგა და ნაღვლიანი, ცრემლ მორეული თვალებით გაჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ფირუზ ცას, თითქოს მასში ეძიებდა მიზეზის ახსნას, კითხვათა პასუხს...

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო... მხოლოდ კუდრაჭა ნიავი არა დგებოდა, მოუსვენრად დაჰქროდა და ალერსიანი ჩურჩულით რაღაცას ესაუბრებოდა...

მოწყენილმა ჰაბუკმა ველარ მოითმინა მეტი სიჩუმე... გრძნობის სათავემ გადმოჰხეთქა მის ნორჩ გულიდან... ტყის მწუხარება გადააქსოვა თვის სევდა-ვარამს და ორივე კი ფანდურის სიმებს...

და აქვითინდა გრძნეულების ძალით ფანდური...

ყოველივე სმენათ გადიქცა... ნიავიც შესდგა... მწუხარების ხმაზე ტყე აკვნესდა, ატირდა ცრემლით...

ვარსკვლავები ჩაჰქრნენ... შავი ზეწარი ეფინებოდა არე-მარეს...

II.

წყვდიადით მოცულ ტყეში კვლავ გაისმოდა სევდის სიმღერა—მგოსანი თავდავიწყებით უკრავდა ფანდურს... ამ ღამის სიბნელეში, გაურკვეველი ჩურჩულითა და მალვით მოიპარებოდა ორი აჩრდილი...

— ფრთხილად!—მოისმა პირველის ხმა.

— ჩუმად! —უპასუხა მეორემ.

ეტყობოდათ მგოსნის შესაპყრობად იყვნენ წარმოგზავნილნი ბნელეთის მეუფისაგან... მახეს უგებდნენ... ის კი მღეროდა განუწყვეტლივ მწუხარებით ალსავსე სიმღერას...

მიუახლოვდნენ აჩრდილნი, სტაცეს მოულოდნელად ვერაგი ხელები და ველური ხარხარით გაიტაცეს სიბნელისაკენ...

ეს იყო და ეს... მას აქეთ აღარ სმენია მწუხარების ტყეს თავისივე ჰანგი... ყრუ მიდამოს მხოლოდ ნიავი დაჰკვითინებდა შავსა ამბავსა...

III.

გრძნობა დაკარგულ მგოსანს საპყრობილეში გამოჰფხიზლებოდა...

აღარაფერი არა აგონდებოდა-რა, არა ახსოვდა-რა... ეღლა ყოველივე... თავი სიზმარში ეგონა...

სარკმლიდან გარედ გადაიხედა... ვერაგ დარაჯს მიზანში ამოეღო ღვთიური მგოსნის მადლიანი შუბლი და ის იყო სროლას აპირებდა, რომ ამ დროს რაღაც განგების ძალით, ალღოიანათ უკან დაიხია...

გამხმარ ნამჯაზე მიწოლილი მგოსანი ნაღვლიანი ხმით ღიღინებდა შემდეგ სიმღერას:

აქ, ამ ხავსიან ტყეთა ჯურღმულში,
ჰქნება სიცოცხლე, მიჰქრიან დღენი;
ცივა ⁊ ბნელა ვით მკვდართა გულში,
მზე მომეცით...მზე—სინათლის მფენი!..

IV.

დრო გადიოდა... წელიწადი წელიწადს მისდევდა... ხსნა არსაიდან იყო... მარტოობაში მყოფს და ისიც ოთხ კედელ შუა გამომწყვდეულ მგოსანს მეტის-მეტი ძლიერებით შეუყვარდა თავისი ფანდური, რომლის მრთოლვარე სიმებსაც დაჰკვნესოდა გულის თქმის ნაღველს, ციხის მელოდიებს...

ის ოცნებობდა... უფრო ხშირად კი ყურს უგდებდა ტყვეთა ყრუ ქვითინს... ბორკილების საზარელ ჟღარუნს... სთხზავდა სიმღერებს... და უგალობდა თავისუფლებას, კისკას დილის მზეს...

მღეროდა და მოსთქვამდა მგოსანი... ჟღეროდნენ და ქვითინებდნენ ფანდურის სიმები... სტიროდნენ და იცრემლებოდნენ ხავსიანი ბნელი კედლები...

V.

ერთხელ შუაღამისას, როდესაც ფიქრებში გართული ჩვეულებრივს მოწყენილობით დაჰღუღუნებდა იგი ფანდურს, —რაღაც გაურკვეველი ხრინწიანი ხმა მოისმა... შეკრთა ტუსაღი... წუთიც და დარკინული კარები უეცრივ გაიღო... შეშინებულმა მგოსანმა აჩრდილივით წამოიწია ზეზე...

— რატომ არა გძინავთ! იქნება ისევ თავისუფლებაზე ოცნებობთ ან გაპარვის გეგმის შედგენასა ჰფიქრობთ?—გესლიანი დაცინვის კილოთი ეუბნებოდა ციხის ზედამხედველი...

მგოსანი სდუმდა...

— ვინ მოგცათ ნება, რომ შუაღამისას აღრიალებთ მაგ უსიამოვნო საკრავს და ციხის მყუდროებას არღვევთ, ჰა?—მგოსანი ისევ ჩუმად იდგა...

— თქვენ გეკითხებით? გესმით თუ არა? —აუმაღლა ხმას ციხის უფროსმა.

— მესმის! იმავე ხმით უპასუხა მგოსანმა.

— მომეცით ფანდური!

— არასოდეს!—შეჰყვირა თავ-ზარ დაცემულმა მგოსანმა.

— ოჰო, წინააღმდეგობის გაწევასაც ჰბედავთ? მაშ, კარგი, ძალიან კარგი—სთქვა უფროსმა, გაექანა, ეცა, გამოჰგლიჯა ხელიდან ფანდური და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირს დაანარცხა... ფანდური დაიმსხვრა... სიმთა უკანასკნელ კვნესაში თითქოს რაღაცა ჩასწყდაო მგოსანს, ისეთი განწირულების კვნესით დაეცა პირქვე...

ყრუ კედლებ-შორის გაისმოდა ოხვრა ქვითინი... გარეწარი კი ხითხითებდა...

. . . . . . . . .

დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ყველასაგან მივიწყებული მგოსანი საპყრობილეში... მხოლოდ სიკვდილმა მოიგონა იგი და გაანთავისუფლა...

ახალი სენაკი (სამეგრელო)
10 აპრილი, 1911 წ.

**გოგია უიშვილი.**

## თანამედროვე ჰაზრები რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი

ლ ე ქ ც ი ა.

ყველაზე უმალ ბოდიშს ვიხდი, რომ ვბედავ საჯაროდ გამოსვლას. მე თვითონ ვგრძნობ, რომ დროს თავისი მიაქვს, მაგრამ ერთხელ კიდევ წამძლია სულმა და გულმა, რომ გულში ნადები გაგიზიაროთ და თუ თქვენი მოლოდინი არ გამართლდეს და საკადრისი ვერა მოგახსენოთ რა, იმედია, მაპატიებთ.

რაც ბუზ-მწერებში დანიშნულება აქვს პატარა ფუტკარს, ისვე ადამიანებში აქვსთ მგოსნებსაც, ესე იგი პოეტებს. ფუტკარს, რასაკვირველია, ყველა თქვენგანი იცნობს: ის არის ერთი მოუსვენარი ბუზი, რომელიც დილიდან საღამომდე დაბზუის, დაჰფრენს შეუპოვრად: ხან ერთ ყვავილს ევლება თავს, ხან მეორეს; ეძებს ნაწილებს იმ სამზადისისას, რომელსაც ქვეყანას უკეთებს; სადაც კი ნახავს, ამოსწოწნის, იხვევს და საღამ-საღამობით დატვირთული ბრუნდება საფუტკრეშივე, რომ მოამზადოს თაფლი პირის ჩასაგემრიელებლად და სანთელი—ბნელის გასანათლებლად.—ამ გვარი მოჭირნახულე, რა თქმა უნდა, უნდა უყვარდეს ყველას, ღირსეულად აფასებდეს და მიტომაც უთქვამს ხალხს: „ბუზი ყველა ბზუისო, მაგრამ ფუტკართან კი სტყუისო!'' მართლაც რომ ხალხი პატივსა სცემს ფუტკარს, უყვარს, როგორც მარდი მუშა, მაგრამ... შორიდან კი!.. და ახლოს ერიდება. ოთახში უეცრად შეფრენილი რომ ნახონ, აშფოთდებიან. განსაკუთრებით ყმაწვილები, ი თაფლის წუწკები, გაურბიან ხოლმე და იმავე დროს კი მოკიაფე უნაყოფო ციცინათელას დასდევენ და ჭრელ-პეპელას გულში იძვრენენ. და რათა? რა დაუშავებია ფუტკარს?—ის, რომ მწარედ იკბინება! მაგრამ განა ეს მართალია? კბენაც არის და კბენაც!.. ყველამ ვიცით, რომ ფუტკარი პირიქით არავის არ ერჩის. ის, როგორც კეთილი მუშა, თავისს გზას ადგია და მხოლოდ მტერს იგერებს: ვერ აიტანს, რომ უკადრისად ვინმემ ხელი შეახოს და ვინც ხელს უშლის და წინ ელობება მის წმინდა სამუშაოს, იმას მხოლოდ ჰისრავს ⁊ თანაც გადაჰყვება ხოლმე თავისვე ნაკბენს. სწორეთ, ამგვარივე ბედი ჰრგებიათ მგოსნებსაც ადამიანებში: მათი ნაწარმოები უყვართ და თვითონ მათვე ერიდებიან და გულში ჩამკვრელი უშიშრად არავინა ჰყავთ!.. მე მოგახსენებთ ნამდვილ მგოსნებზე და არა იმ მოშაირეებზე, რომელთა რიცხვი უთვალავია და რომელთაც რუსთველი ასე ახასიათებს:

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მოლექსეთა კარგთა სწორი.
განაღა სთქვას ერთი-ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორიო!''

დიახ! მე მოგახსენებთ ნამდვილ პოეტებზე და ჩვენ პატარა საქართველოსაც, როგორც უძველესს ხალხს და ისტორიულად გამოცდილს, ჰყოლია დიდი მგოსნებიც და მათ რიცხვში უპირველესი ადგილი უჭირავს რუსთველს!.. უპირველესი არა მარტო ქართველებში, თამამად ვიტყვი უპირველესთაგანი მსოფლიო მწერლობაშიაც. დიახ!.. მაგრამ მე დღეს არას მოგახსენებთ მისს მაღალ-პოეტურ ნიჭზე და გადავალ პირდაპირ მის იდეებზე, თავის ,,ვეფხის—ტყაოსანში'' რომ აქვს ჩართული მეთორმეტე საუკუნეში, ამ რვა ასის წლის წინეთ და რასაც დღეს... მხოლოდ დღეს მოითხოვს კაცობრიობა... სქესთა, ესე იგი, დედა-კაცის მამა-კაცთან თანასწორობაზე, გვარიშვილობისა და ჩამომავლობის არარაობაზე, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, მეგობრის არ დავიწყებაზე, თანხმობით მოქმედებაზე და სხვანი... დავიწყოთ სქესთა თანასწორობაზე. ერთ ალაგას რუსთველი ,,ვეფხის ტყაოსანში“ გვიამბობს შემდეგს: მეფე როსტევან, რომ დაბერდა, საგონებელში ჩავარდა და მიზეზიც მისი მწუხარების ის იყო, რომ ერთი ქალის მეტი არა ჰყავდა რა და რადგანაც ქალი მეფედ ვერ დაჯდებოდა, არა თუ მაშინდელ შეხედულობით, დღევანდელისაც, ტახტი უმემკვიდროდ რჩებოდა. მოიხმო კარის კაცები სავეზიროდ, გაუმჟღავნა თავისი ფიქრები და იმათაც ერთ ხმად და ერთ პირად ურჩიეს, რომ ქალი გაემეფებინა. სულ ერთია კაცი იქნება მეფედ თუ ქალი, ოღონდ თვითონ კი ვარგოდესო!—ქალი კი განა ღვთისავე განაჩენი არ არისო?

„თუმცა ქალია, ხელმწიფედ მართოდენ დანაბადია!
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლავ დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცადია
და ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია,,!

აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყოლიფერი უმაღლესი ქეთენაურია, ე. ი. კომპლიმენტი, და ეკუთვნის მხოლოდ მეფესა და მის ჩამომავლობასო. მაგრამ შემცდარი იქნება: რუსთველს, მთელს „ვეფხის ტყაოსანში“ ქალი საზოგადოდ მეფის ჩამომავალია, როგორც „ნესტან-დარეჯანი“, ,,თინათინი'', თუ უბრალო ვაჭრის ცოლი, როგორც ფატმანი; თუ მოახლე ასმათი, ყველას თავის თავად ამოქმედებს. თვითნება არიან და არა ჩვენ რომ დღეს გვესმის მისთანა მონა. მოვალეობას ასრულებენ და მბრძანებელი არა ვინა ჰყავთ, მხოლოდ მიტომ, რომ აქა და ქალია ჩვენზე სუსტიო.—იმ დროში, ამ რვაასის წლის წინედ, საიდან შემოიტანა ეს ჰაზრი რუსთველმა? როგორც ფუტკარი თავისს სამზადისს ნაწილ-ნაწილად აგროვებს თავისივე ქვეყნის ყვავილებიდან, ასე იმანაც, ესე იგი რუსთველმაც, თავისი გრძნობა გონების მასალა იპოვა ქართველებშივე, აქა-იქ გაბნეული, მოაგროვა და გააერთიანა. და მართლაც. როსტევანი სარკეა მეფე გიორგის, თამარის მამის. იმასაც ერთი ქალის მეტი არა ჰყავდა რა, მაგრამ უმაღლითო საქმე ჩაიდინა და კარის კაცების თან-ხმობით გადასცა ტახტი ქალს, თამარს. ქალის გამეფება, რაღა თქმა უნდა, საზოგადოდ ქალთა უფლებას გაამტკიცებდა? თუმცა მანამდისაც ქალთა უფლება არაოდეს არ ყოფილა შეზღუდული საქართველოში და ქართველი ქალები განსხვავდებოდენ სხვა ერების ქალებისაგან. ამ ჩვენი პატარა სამეფოსი, საქართველოს ისტორიული მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ მამა-კაცები ნიადაგ საზღვარზე იდგენ, ყოველ კუთხით შემოსეულ მტრების მოსაგერებლად და რთული საოჯახო საქმე და შვილთა აღზრდა დედებს რჩებოდათ ხელში. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მერვე საუკუნედან დაწყებული არაბებს შემოჰქონდათ საქართველოში სწავლა-მეცნიერება, რაიცა მაჰმადიან ქალებს ყურანის ძალით აკრძალული ჰქონდათ და ქართველი ქალები კი, როგორც ქრისტეს მიმდევრები, ხელ შეუშლელად ეწაფებოდენ იმ სწავლა-მეცნიერებას. ყოველივე ამან გაავითარა, აამაღლა ქართველი ქალი და აიყვანა მამა-კაცის სისწორემდე. და მაშასადამე ლექსი:

„ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს გინდა ხვადიო“

ეს თანამედროვე აზრი, გამოთქმული რვა ასის წლის წინედ ჩვენში, ეკუთვნის არა მარტო მეფესა და მისს შთამომავლობას, არამედ მთელ ხალხს, მთელ ქართველობას, რომლის გრძნობა გონების გამომხატველიც იყო რუსთველი. დედა-კაცისა და მამა-კაცის უფლებათა თანასწორობა ძველთაგანვე რომ უეჭველი იყო ამას საისტორიო ქალებიც გვიმტკიცებენ: ძმის წული დავით აღმაშენებლის, მცირე აზიაში განთქმული და ,,გურჯი თამარად'' წოდებული, ბურდუ— ხანუმ, მეფე გიორგის III მეუღლე, რუსუდან გიორგისავე და, ბრწყინვალე თამარის გამზრდელი, კარავ ჯაყელი, ხოშაგი რატი სურამელის დედა, ვახახი, რომლის ჩამომავლობა დღესაც ვახვახიშვილებად იწოდებიან, სავძივარი და სხვანი. ყველა გამოჩენილი ქალების სახელი რომ ვახსენოთ, დღეს აქ სიტყვა გაგვიგრძელდება და მხოლოდ შემოკლებით ვიტყვით რუსთველთან ერთად:

,,ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს გინდა ხვადია.''

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სქესთა თანასწორობა სხვა გვარად ესმოდა ჩვენ ძველებს, ვიდრე დღეს ესმის ზოგიერთებს: ადრე, წინეთ ქალს დედა-კაცი ერქვა. ეს სიტყვა ,,ქალი'' VIII საუკუნიდან შემოიტანეს არაბებმა ჩვენში და ,,ნიშნავს'' სიტყვა-სიტყვით რომ ვსთარგმნოთ ,,მშობიარეს''. მანამდის ქალს ,,დედა-კაცს'' ეძახდით, მაგრამ დღეს ისე გადარჯულებულა რომ ,,ქალის', მაგიერ ,,დედა-კაცი'' უთხრა ვისმეს საუკადრისოდ მიიღებს: აგრეთვე ,,ცოლი,'' ,,მეუღლე'' გვიხატავს ხალხის შეხედულობას ქალზე: ,,მეუღლე'' ნიშნავს უღლის ცალსა, თანასწორად გაბმული ცხოვრების უღელში ქალი და კაცი ერთი მეორის დაუჩაგვრელად უნდა მიისწრაფოდენ თანასწორად .აგრეთვე სიტყვა მეორე,,ცოლი'' წარმოდგება სიტყვიდან ,,ცვალი'', ესე იგი საჭიროების დროს ერთი მეორის ადგილის დამჭერი. აქედან ის იგულისხმება, რომ ქართველი კაცის შეხედულობით ,,ქალსა'' და ,,კაცს“ თანასწორი ადგილი უნდა ეჭიროსთ ცხოვრებაში და ისტორიულად სწორედ ასეც იყო ეს. მაგრამ, როგორც ერთმანეთის თანასწორ ორს ნახევარს საქმე განაწილებული ჰქონდათ. ის, რაც უფრო ეადვილებოდათ და ეხერხებოდათ ქალებს, ესე იგი, ქმარ-შვილის მოვლა— აღზრდა და მათი გაწვრთნა—განათლება, ოჯახის თვალყურის გდება, საზიარო საქმეებში ჩარევა, მკურნალობა, გარდა დოსტაქრობისა, და სხვანი იმათ ხელში იყო და ქმრებს კი, როგორც სხეულით უფრო ძლიერებს, გარეშე საქმეები, ე. ი. მტრის მოგერება და საძარღვო ჰაპან-წყვეტის გაწევა, მოწეულის გარედამ შემოტანა ოჯახში და სხვანი ამგვარი რჩებოდათ. მაგრამ ეს საქმის შესაფერად განაწილება არც ერთ მხარეს უფლებას არ აძლევდა, რომ მეორის უფლება დაერღვია. ქალიცა და კაციც, როგორც ცხოვრების მიმდინარეობაში, ისე უფლებითაც ერთმანეთის თანასწორნი იყვენ.—და რუსთველის სიტყვაც:

„ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს გინდა ხვადიო“

სავსებით ამას ნიშნავს და სხვას არაფერს!..

ახლა გადავიდეთ ჩამომავლობა—გვარიშვილობაზე. ჩვენ, ქართველები, ერთ უძველეს ხალხთაგანს ვეკუთვნით. მრავალ საუკუნოების განმავლობაში, რამდენიმე

---

გაელენთილ ღრუბელს არა ჰგავს. (ამ დროს ფარდა ცოტათი შეირხევა, ცოლი შენიშნავს ამას და ძალზე შეკრთება. ხელს გაუწვდის მეგობარს, რომელიც მკერდზე მიიკრავს შეშინებულს ქალს) აახ, ისევ ის, წყეული ფარდა თვალებში ისარივით მესობა... არ მინდა, რომ ფარდა მანდ ეკიდოს და მთვარის შუქს აქ შემოჭრას უშლიდეს. ის ისეა სისხლით გაღლენთილი... (ჩაფიქრდება. ერთბაშად ზეზე წამოიჭრება და ძალზე აღელვებული) რამ მომიყვანა აქ? მეშინიან, გესმის მეშინიან... იქ, ფარდის უკან, თითქოს ვიღაც იმალება და საშინლად თვალებ დაჭყეტილი გვათვალიერებს ორთავეს. მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან... აი, მიყურე, ეხლავ ავწევ ფარდას და მთვარის შუქს გზას გაუხსნი, რომ თავისუფლად შემოიჭრას და ინავარდოს ამ საშინელებით მოცულ ოთახში (მიდის ფარდისკენ)

**მეგობარი.** (სწრაფად გადაეღობება). არა, ძვირფასო, ეგ არ შეიძლება. შენ მართალი ხარ, იქ, ფარდის უკან, მართლაც იმალება ისეთი რამ, რომლის ყოფნა არ ყოფნაზე არის დამოკიდებული მთელი ჩვენი ბედი, ჩვენი მომავალი. (მიიყვანს დიდ სავარძელთან და გვერდით მოუჯდება)

**ცოლი.** (შეკრთება და ახლო მიეკვრება) რა ბედი, რომელ მომავალზე ლაპარაკობ?

**მეგობარი.** რომელ მომავალზე და... (გაიცინებს) ფანჯარაზე... და ფარდაც იმიტომ არის ჩამოფარებული, რომ მტრის თვალებმა ვერ გნახონ და ვერ შეგნიშნონ. დამშვიდდი ჩემო სამოთხევ... თავს ნუ იწუხებ ტყუილად იმ საშინელ წამთა გონებაში გატარებით, რომელნიც ბედმა წილად მარგუნა. დაუგდე ყური, როგორ ხმაურობს იქ, ფანჯრის იქით, ჩვენი ნაცნობი ტყე... განა არ გაგონებს ბედნიერებით სავსე წამებს, როდესაც ჩვენ ორნივ ერთად მაგრად ვეკვროდით ერთმანეთს გულში და უანგაროდ ვძღეოდით ნეტარებას... შენ მაშინ ჯერ კიდევ გაუთხოვარი იყავ. დრო, ხანი გადიოდა... მე იძულებული შევიქენ დროებით გაგშორებოდი... შენ კი იმოდენა მოთმინება ვერ იქონიე, რომ შეყვარებულისათვის დაგეცადნა და... გათხოვდი სხვაზე...

**ცოლი.** დამიჯერე, დამიჯერე არა ვარ საყვედურის ღირსი! სწორედ იმ ხანებში მამა მომიკვდა; დავრჩი მარტოდ-მარტო სრულიად ობოლი, უპატრონო. ჩემს ახლოს ერთი ადამიანიც კი არ მოიპოვებოდა, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის... შენ კი წერილებზე პასუხს არ მაძლევდი... რა უნდა მექნა ასეთს მდგომარეობაში მყოფს?!

**მეგობარი.** გეფიცები პატიოსნებას, სწორედ იმ ხანებში გავხდი ავად და მთელი ორი თვე უგონოდ ვეგდე ლოგინში.

**ცოლი.** მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი ეს... და აი სწორედ ამ ხანებში გაჩნდა ის, მდიდარი, შეძლებული, ყველგან მიღებული და ყველასაგან პატივცემული... რა მექნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავ? მით უმეტესს, რომ კვალ და კვალ მსდევდა და მოსვენებას არ მაძლევდა... ეხ, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს...

**მეგობარი.** (მუხლებზე დაეცემა და ხელებს დაუკოცნის) მაშ მხოლოდ ერთს კითხვაზე მიპასუხე: ნუ თუ ყველაფერი დაკარგულია ჩემთვის? გამიგონე, ამ კითხვაზე შენ არ გაქვს უფლება, რომ არ მიპასუხო. მაშ მიპასუხე ჩემო ღვთაებავ, ჩემო სულის დგმავ...

**ცოლი.** რად მტანჯავ ზედმეტის კითხვებითა? განა შენთვის საკმარისი არ არის, რომ მე თვითონ მოვიჭერ აქ და პირველში ცივი და სასტიკი—ეხლა მშვიდად და მეგობრულად გეპასები? განა არ კმარა, რომ ნებას გაძლევ, მომხვიო ხელი და ჩემს წინაშე მუხლებზე დაჩოქილი სიყვარულზე ილაპარაკო?

**მეგობარი.** (გატაცებით უკოცნის ხელებს, მუხლებს) ჩემო სამოთხევ, ჩემო საუნჯევ!

**ცოლი.** კმარა! ნუ მკოცნი აგრე გატაცებით, გეყოფა!.. შენ არ იცნობ ჩემს ქმარს, არ იცი რა იჭვიანი რამ არის. შენ რომ ამ მხრივ მას იცნობდე, მაშინ დარწმუნებული ვარ ასე თამამად ვერ მომეპყრობოდი!

**მეგობარი.** ჩემო საუნჯევ!.. ამიერიდან ის ჩვენთვის სრულიადაც არ არის სიშორეში... ჩვენს შორის კვლავ განახლდა და მკვდრეთით აღსდგა სიყვარული, რომელიც ქარიშხალს წააგავს ეხლა... ან რა მნიშვნელობა აქვს ეხლა ჩვენთვის ადამიანის მიერ შექმნილს გაჭირვებას და დაბრკოლებას?.. სულ ერთია ქარიშხალი წალეკავს მათ და გზას გაგვიხსნის ტანჯვით მოპოვებულ ბედნიერებისაკენ (ეხვევა)

**ცოლი.** ჩუმად! გეყოფა! (შეაჩერდება კედლის საათს, რომელზედაც ნიშანი სადაც არის ცხრას მიუახლოვდება და ინსტინქტიურად ვერ აშორებს თვალებს).

**მეგობარი.** (გატაცებით) ჩემო ყველავ! ჩემო დაკარგულო, მაგრამ კვლავ ნაპოვნო სამოთხევ! მე წაგიყვან შენ შორს... შორს ცხრა მთას იქით, უცხო მხარეში, სადაც ცხოვრება სდუღს და გადადის, სადაც ბედნიერებასა ⁊ ნეტარებას ჰპოულობს ტანჯულთა სული... ჩემო პატარავ შენ ხომ ჩემი ხარ ეხლა, ჩემი, სამუდამოდ ჩემი... ჩემი იყავ წარსულში და მომავალშიაც მხოლოდ და მარტოდ ჩემი უნდა იქმნა. (თვალებში ჩააცქერდება, თითქოს იქ უნდა ამოიკითხოს პასუხი).

**ცოლი.** შენი ვარ? მხოლოდ შენი!.. (ბაგეს გაუწვდის და ხანგრძლივ კოცნაში შეეწებებიან ერთმანეთს. ამ დროს საათი ცხრაჯერ ჩამოჰკრავს. საათის პირველ დაკვრისთანავე ფარდა გაიწევა და ელვის უმალ გამოჩნდება ქმარი, რომელსაც ხელში დამბაჩა უკავია და პირდაპირ უმიზნებს ჩახვეულებს. სცენის შუაგულს ერთბაშად შესდგება, სახეზე საშინელი ტანჯვა და მწუხარება აღბეჭდვია; ეტყობა, რომ საშინელს სულიერს ბრძოლას განიცდის; შემდეგ მოწყვეტით ხელს დაუშვებს ძირს, შებრუნდება, ფეხ-აკრეფით გაეშურება ისევ ფარდისკენ და ამოეფარება მას. ამ დროს დამბაჩა გავარდება და განგმირული ქმარი უსულოდ ძირს დაეცემა).

**ცოლი.** (საშინლად შეჰკივლებს და სცენის სიღრმეში გადახტება, საიდანაც ნათლად მოსჩანს იატაკზე გართხმული ქმარი. ეხლა ცოლის და მეგობარს შუა ქმრის გვამი სძევს).

**მეგობარი.** აღსრულდა! (ხელებს გაუწვდის ქალს, რომელიც ერთს ადგილს სდგას და უაზროდ გაიყურება. შემდეგ თითქოს გონს მოვიდაო, ერუდ, მაგრამ მტკიცედ).

**ცოლი.** ჩვენს შორის ეხლა მკვდარი სძევს... სიცოცხლის დროს მან გაგვყარა და გაგვთიშა ერთმანეთს, მოკვდა და თვისი სიკვდილით სამუდამოდ დაგვიხშო კარი ბედნიერებისაკენ... სისხლით მორწყულსა და მოპოვებულს ბედნიერებას მე ვერ შევეგუები. შენ მართალი ხარ. აღსრულდა! (ხელს აჩვენებს შემოსავალ კარებზე. მეგობარი ნელა მიდის. ქალი მარტოდ რჩება უძრავად, უსულოდ და სახე აშლილი. სურათი).

ფ ა რ დ ა.

**ლადო ახობაძე.**

ათასი წელი გვიცხოვრია საკუთარის ეროვნულ ელფერით, ყოველთვის გვჰქონია საკუთარი სამეფო და ვხსენებულვართ მსოფლიოდ ქართველ—ერად, თუმცა ხან გიორგიანებად, ხან კოლხიდელებად, ხან ივერიელებად, ხან გურჯებად, ხან გურგანელებად და ხან კიდევ რად? მაგრამ მაინც ქართველებად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვა და სხვა ხალხი და სამეფო გაბრწყინვებულა მსოფლიო მნიშვნელობით, მაგრამ გამქრალა და დღეს აღარსად სჩანან; ზოგი სულ ამოფხვრილა ქვეყნის პირისაგან და ზოგიც უმნიშვნელოდ დარჩენილა. აბა სადღა არიან: ასურეთი, ბაბილონი, ეგვიპტე, არაბეთი, დიდი განთქმული ბიზანტია, დიდებული რომი და სხვანი? მაგრამ საქართველოს კი გაუვლია ჭირ-ვარამი, ეს გრძელი ხანა, გადარჩენილა დამხობას და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოუტანია თავისი თავის არსებობა და თავისივე სურვილით შეკედლებია სხვა, უცხო ხალხს სამოყვაროდ და არა სამონავოდ თავისს გუნებაში!.. რას უნდა მივაწეროთ მისი ეს ხანგრძლივობა?—იმას, რომ ქართველები დროს შესაფერად და გარემოების საკადრისად ყოველთვის ეკუთვნოდენ მოწინავე ერთაგანს და შინაგანი წეს-წყობილება მტკიცე ჰქონდათ, მით რომ წოდებათა შორის ზნეობითად დიდი განსხვავება არ ყოფილა და ყველა ერთად, ერთი მიზნით ყოფილა გამსჭვალული. ზემო ჩამოთვლილი სახელმწიფოები კი წოდებათა უთანხმობამ დაამხო. იმათში წოდება შთამომავლობითი იყო. ერთისაგან მოპოებულ ღირსებას სამემკვიდროდ გადაიტანდა მისი შთამომავლობა და ეს იწვევდა საერო უთანხმოებას. მაღალი წოდება მედიდურად გადაჰყურებდა დაბალს, მდაბალი შიშითა და სიხარბით შეჰყურებდა მაღალს, რომელიც ვეღარ ასრულებდა მისი წინაპრის საქვეყნო ჰვალს და ამიტომ მათ შორის კავშირი სწყდებოდა. ამ შინაგანი არეულობით სარგებლობდა მომსვლელი გარეშე მტერი და აოხრებდა ოდესმე დიდებულ ქვეყანას. და აი სწორეთ, ამაზე უთქვამთ ჩვენ ძველებს: „ციხე შიგნიდან გასტყდებაო!“ მაღალი და დაბალი წოდება ჩვენ სამეფოშიაც ყოფილა, მაგრამ არა იმ ძალითა და უფლებით, როგორც სხვაგან. ჩვენი წარსული რომ შესწავლილი გვქონდეს, ისტორია გვეტყოდა რომ ქართველებსაც გვყოლია „მაღალი“ და „დაბალი“ წოდება, ისე როგორც ყოველ მოწესრიგებულ სამეფოში, მაგრამ ამაღლება არავის აძლევდა უფლებას, რომ დაბალი დაემონავებია... დაეჩაგრა. ყველა მხოლოდ თავთავის მოვალეობას ასრულებდა საქვეყნოდ. მართალია, მაღალ წოდებას შეადგენდენ; თავადები, ე. ი. ისინი ვინც სათავეში უდგენ, რომელსამე საერო საქმეს, ერისთავები და დიდებულები, მაგრამ მათი ნაშიერები იწოდებოდენ: მხოლოდ თავადიშვილებად, ერისთავის შვილებად და დიდებულიძეებად. ეს მხოლოდ იყო უბრალო წოდება და არ აძლევდა იმათ იმ საერო უფლებას, რომელიც მათ გამოჩენილ წინაპრებს ჰქონიათ ოდესმე ერთ დროს. და მიტომაც ერთ რომელიმე საუკუნეში, რომ თავადებს ვხედავთ, შემდეგ საუკუნოებში თავადებად სულ სხვა გვარები გამოდიან. მაგალითად ავიღოთ თამარ მეფის თანამოღვაწეები: გამრეკელი, ამანელიძე, კახაბერი, აბულერიძე, სავარსამიძე, მხარგრძელები და სხვანი. სადღა არიან დღეს? და თუ არიან, რატომ აღარ იხსენებიან მათის წინაპრების სახელით? ბერძნების ისტორიაში მეოთხე საუკუნეში მოხსენებული კოლხიდის მთავარი ,,გუბაძე,“ ოდესმე დიდებული „ჭილაძე“, გოშაძე და სხვანი სადღა არიან და რატომ მათი გვარი დღესაც აღარ თავადობს? „გუბი“ და ,,საჭილაო‘‘ კი დღესაც ისევ არიან ვაკე—იმერეთში. მაგრამ რაღა შორს მივალ? ავიღოთ სულ ახალი დრო. გამოჩენილმა გიორგი ჩიქოვანმა ჩამოართვა დადიანობა ლიპარიტიანს, დაიჭირა მისი ადგილი და დღეს ლიპარიტიანები გლეხებად იხსენებიან. ჩვენ ქვეყანას, მაღალის დამდაბლება და მდაბალის ამაღლება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა. ვინ იყო სურამელი? და ან გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად წოდებული? სულ უბრალო შთამომავლობის... უგვარ-ტომო კაცები და საქვეყნო პირველ როლს კი თამაშობდენ, მაშინ როდესაც ერისთავის შვილებით, თავადიშვილებით და დიდებულიძეებით სავსე იყო ჩვენი სამეფო!.. და აი სწორედ ამ გვარმა მოვლინებამ ათქმევინა რუსთველს, ის რაც იმ დროში სხვაგან არა თქმულა:

„ათასად კაცი დაფასდა, ათი ასად
ზრდილობა!..
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია
გვარიშვილობა..

დიახ! ეს ჭეშმარიტება იმ თავითვე შესისხლხორცებული ჰქონია ქართველს!.. მართალია. უკანასკნელი მეცხრამეტე საუკუნე, რაღაი კი სხვას შევუერთდით, მარტო იმასა სცდილობდა, რომ დაერღვია ჩვენი ძველი წეს-წყობილება, დავიწყებინა ჩვენთვის წინაპრების ყოველ გვარი ანდერძი, რომ მათ მაგიერ თავისი შემოეტანა, მაგრამ დღევანდელი მოძრაობა გვიმტკიცებს, რომ ქართველს ჯერ კიდევ არ დავიწყებია ძველი ჭეშმარიტება და რუსთველთან ერთად გაიძახის:

„თუ კაცი თვითონ არ ვარგა ცუდია
გვარიშვილობაო“.

გადავიდეთ ბატონ-ყმობის უსამართლობაზე. დღეს ჩვენში მისთანა ჭკუათა მყოფი არავინ არის, რომ ბატონ-ყმობა არ ეზიზღებოდეს და უფროს-უმცროსობა ძმური, ამხანაგური და არა ბატონური არა სწამდეს, მაგრამ ძველად კი ეს საზიზღარი მოვლინება დაკანონებულიც იყო. თავდაპირველად სუსტი მოძმეები მიეკედლენ ძლიერებს, მოითხოვეს მათგან შემწეობა, მფარველობა და ძლიერებმაც ისარგებლეს ამ შემთხვევით: დღეს—ხვალიობით დაიმონავეს სუსტები. ეს ბოროტება მოედვა დედა-მიწის ზურგს და ბოლოს გაჩნდა დაკანონებული მონაობა.— როგორც სხვა ხალხებში ისე ქართველებშიაც იყო „ბატონ-ყმობა“, მაგრამ არა ისე ფეხმოკიდებული შედარებით როგორც სხვაგან, სადაც ადამიანი პირუტყვივით იყო დამონებული. ჩვენში კი, ეს არა სასურველი მოვლენა, ბატონ-ყმობა იყო პირობითი და არა ძალ-მომრეობითი. მონაობა, თითქმის არ ყოფილა. გლეხებს ერთხელვე ჰქონდათ გადაჭრილი პირობითი გადასახადი, ბეგარა, და იმას მხოლოდ იხდიდენ. ადგილ-მამული შეადგენდა გლეხის საკუთრებას; ბატონს შეეძლო გლეხი გაეყიდა, მხოლოდ იმ პირობითა და უფლებით, რა უფლებითაც თვითონ ჰყავდა, და ადგილ-მამულს კი ვერც ბატონი შეეხებოდა. გადასახადი, ანუ ბეგარა, განაწილებული იყო გლეხობაში: ზოგს მარტო პური ემართა, ზოგს მარტო შინაყმა და ამ გვარად, რაც ერთხელვე დაწესებული არ იყო, იმაზე მეტს ვერავინ რამეს მოსთხოვდა მათ კანონით. მონაობითი „ბატონ-ყმობა“ შემოგვიტანა 19 საუკუნემ, როცა ჩვენი ქვეყნის წეს-წყობილება დაირღვა და უცხოეთით ახალი კანონი შემოვიდა.

მე თვითონ მომსწრე ვარ იმ არა სასურველ ბატონ ყმობისა და მოგახსენებთ ერთ შემთხვევას, რომელიც ჩემის თვალით მინახავს: თავ. სიკო წერეთელს გლეხი გადაუშენდა. იმას მხოლოდ ერთი ათი წლის ქალი დარჩა და ის ქალი ბატონმა გამოიყვანა სასახლეში. ეს იუკადრისა სოფელმა, შეატყობინა სხვა ახლო სოფლებსაც ეს უსამართლობა და რამდენიმე ათასი გლეხი მოადგა მებატონეს მუქარით: ჩვენ გლეხები ვართ და არა მონა-მოჯალაბე, რომ მოახლე გვემართოსო! მართალია გლეხი გადაშენდა, მაგრამ დარჩა მცირეწლოვანი ქალი, რომელზედაც სოფელმა უნდა იზრუნოს, ადგილ-მამულსაც მოუაროს და დროზე ქალიც გაათხოვოსო. მებატონე იძულებული გახდა, რომ ქალი მათთვისვე დაებრუნებია. ეს ძალმომრეობა, თუმცა გლეხების მხრით იუკადრისა წერეთლის გვარმა და იმ დროს გამოჩენილის პოლკოვნიკ სვიმონ წერეთლის მეთაურობით აღიჭურვა დიდი და პატარა საერთოდ წერეთლის გვარი, თან წაიყვანა აზნაურები, გამოუდგა გლეხებს და მოეწია ყვირილის პირად. გლეხები, ყველა ხელ-კეტით მომზადებულები მიუბრუნდენ ბატონებს და მოახსენეს: ნუ იზამთ იმას, რაც თქვენ წინაპრებს არ ექნას!.. ჩვენ მოახლე არ გვმართებს და თუ ძალ-მომრეობაზე უნდა მივარდეს საქმე, მზათ ვართ რომ თავები დავიხოცოთო!. ნურც თქვენ გასტეხთ, ნუ გადააჭარბებთ თქვენს უფლებას და ნურც ჩვენ გაგვატეხინებთ ჩვენს მოვალეობასაო! ნურც დააქცევთ და ნურც დაგვაქცევიებთ სისხლსო. ამ გადაჭრილ პასუხის შემდეგ ჩაგულისხმებული მებატონეები, გამობრუნდენ უკანვე უჩხუბრად, და ქალი გლეხებმა წაიყვანეს. იმავე ხანებში, ქართლში ერთ მებატონეს სამუშაოდ უნდა მოხმარებოდა მისი გლეხი ერთი უღელი ხარით, მაგრამ ცალი ხარი მოკვდომოდა. ბატონი გარისხდა და უბრძანა გლეხს: იშოვნე საიდმე უღლის ცალი და ან შენ გაები ხარის მაგიერ უღელშიო!—ხომ იცი, რომ ახლა სხვა კანონიაო, ამან გამოიწვია მთელი სოფლის აღელვება და მებატონე ცოლშვილთან ამოსწყვიტეს იმ ღამესვე. ცნობილი ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, დეკაბრისტი, რომ დაბრუნდა სამშობლოში, მეურნეობას მიჰყო ხელი. ერთ დღეს ნახა, რომ ძროხები არ შეერეკათ საჩეხში და გარედ დარჩენილიყვენ. მოსამსახურეებს რომ გამოჰკითხა მიზეზი, იმათ ასე უთხრეს: მწყემსი ავად გახდა და ვილას უნდა შემოერეკაო? გაგულისდა რუსეთში გაზრდილი მებატონე: თქვენ რაღას? ხომ უსაქმოდ იყავით და რა გაგიჭირდათ ძროხების დამწყვდევაო? არა ჩემს ოჯახში დღეიდან ის ნუღა იქნება, რომ გაგინაწილებიათ შრომა: ზოგს წყალტაშტი მოგაქვსთ, ზოგს პირსახოცი, ზოგს სავარცხელი და ამ გვარადო. ეს არ მმართებია, ის არ მმართებია, მე არ ვიციო!.. როცა უსაქმურად ხარ, ყველაფერი უნდა გააკეთოო!.. მეორე დილას ტყვიით გახვრეტილი, მკვდარი ნახეს საწოლ ოთახში. ეს ყველა რას მოასწავებს? იმას რომ ქართველს არ ჰქონია გამჯდარი ძვალსა და რბილში მონაობა, ძალ-დატანებით არ იკისრებდა რამეს. და მხოლოდ ასრულებდა იმ მოვალეობას, რაც წინაპრებისაგან ჰქონდა გადმოცემული. და რომ ჩვენ ძველებს სხვა გვარად ესმოდათ „ბატონ-ყმობა“, ამას თვითსახელიც გვიმტკიცებს! სიტყვა „ბატონი“ წარმოსდგება სიტყვიდან „პატრონი“. პატრონი ჰნიშნავს მზრუნველს, ხელ-მძღვანელს და მომვლელს. „ყმა“ ჰნიშნავს ახალგაზდას, გასაწვრთნელსა და გასაზრდელს. მაშასადამე სიტყვა „ბატონ-ყმობა“ არ ნიშნავს იძულებით მონაობასა და ძალ-მომრეობას. არის თანხმობითი კავშირი ძმური, მამობრივ-შვილობრივი და არა უფალ-მონური, რომელიც უკანასკნელ 19 საუკუნეში სხვებმა შემოგვიტანეს. სწორეთაც ესმოდათ ჩვენ ძველებს, რასაც ნათლად გვიხატავს 12 საუკუნეში, იმ გახურვებულ მონაობის დროს, საქვეყნოდ რუსთველი მის „ვეფხის ტყაოსანში“: როსტევან მეფეს შვილივით უყვარს მისი ყმა ავთანდილი, მისგან გაწვრთნილი და გამოზდილი, ქალს აძლევს და სამეფო ტახტზე აჰყავს თავის მაგიერ. ავთანდილ, რომ ტარიელის საძებრად მიდის, თავისს მოადგილედ მის ყმასა შერმადინს ჰსტოვებს და ანდობს ყოფა-ცხოვრებას. ფრიდონ, რომ გამარჯვებული ქაჯეთიდან დაბრუნდება სამეფოში, თვალ-ცრემლიანი ეუბნება ჭირისუფლებს: ძვირად მიზის გამარჯვება!. ჩემ სიცოცხლეში სამწუხაროდ და საგლოვად ის მეყოფა, რომ ჩემი ყმები ზოგიერთები ჩხუბში დაიხოცენო და ცოტა ნუგეში მხოლოდ ისღაა აქ სახელი ნახეს და იქ პირნათლად წარსდგებიანო. ტარიელი ისე ექცევა მოახლე ასმათს, როგორც უძვირფასესს მეგობარს და არა მონას და სხვანი. ამის შემდეგ რაღა გასაკვირვალია ის, რომ რაც სხვაგან არ ითქმოდა იმ დროში, ის გამოითქვა ავთანდილის ანდერძში:

ათავისუფლე მონებიო
ილვწიან მომიგონებენ, მოვჰკვდები მოვეგონებიო!

„მოვეგონები!“ მაგრამ ეს „მოვეგონები“ დღეს გადავარდნილია:

დიახ, სამწუხაროდ დღეს ჩვენში წარსულს ფასი აღარა აქვს მაშინ როდესაც „წარსულს“ ბევრი რამ საანდერძო დაუგდია ჩვენთვის. და რომ ის ჩვენ შესწავლილი გვქონდეს გვეცოდინებოდა, თუ რა ვიყავით ძველათ ქართველები და რა უმნიშვნელო ვართ დღეს. მაგრამ ამ უნუგეშობაშიაც კიდევ ნუგეშს გვცემს და გვამხნევებს რუსთველი. მისი „ვეფხის ტყაოსანი“ სხვათა შორის პოეტური წინასწარმეტყველებაა! ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ქაჯებისაგან დამონებული და წაყვანილი ნესტან დარეჯანი საქართველოა და იმისი მაძებარი მისივე შვილები. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ის სამი გმირი ტარიელი, ავთანდილ და ფრიდონ წარმომადგენელი არიან მთლიან საქართველოსი. იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს, ისე ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გამოიხსნიან ნესტან დარეჯანს. სწორეთ ასე ამერ-იმერმა და შავი ზღვის პირმა უნდა შეაერთოს ძალა და ძმურის თანხმობით მიადგენ ქაჯეთს.—დაცალცაკება დასუსტებაა... სიკვდილი. მეცხრამეტე საუკუნისგან გამოანგარიშებული. დიახ, მეცხრამეტე საუკუნემ შემოიტანა ჩვენში ის რაც წინეთ არ ყოფილა: გაამტკიცა „ბატონ-ყმობა“ და დააბეჩავა ხალხი. ძალ-მომრეობამ ყველა დააჩუმა. რაღაც ძილმა წაიღო ხალხი, მაგრამ, თურმე, ის ძილი ყოფილა სალათას ძილი და არა მკვდრის, როგორც ზოგიერთებს ეგონათ! დღეს თავის თავად გამოახილა თვალი, გამოიღვიძა. ნელ-ნელა გამოერკვევა, მიმოავლებს თვალს აწმყოს, შეისწავლის წარსულს და ისე გაითვალისწინებს მომავალს. რაც წარსულს ჩვენთვის დღევისათვისაც გამოსადეგი და სასიკეთო უანდერძებია, იმაზე ხელს ვერ აიღებს!.. რამდენიმე ათასი წელიწადი, მთელი მისი სიცოცხლე, სისხლი ულვრია მოწამებრივი, რომ მონობა თავიდან აეცდინა და ვერც, დღეს იკისრებს მონობას!.. „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“. აი ამისათვის დასდებს თავს და თუ ვერა, რუსთველთან ერთად გაიმეორებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანიო“!..

აკაკი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.


# განცხადება

კბილის ექიმი
ნინა გ. ხელიძე
იღებს ავათმყოფებს დილის 9 ს.—2-მდე. საღამოს 5 ს.—7-მდე. ღარიბებს და უმუშევრებს ხელმისაწვდენ ფასებში.
კირხის ქუჩა, სახლი № 34.

რ ჩ ე უ ლ ი
პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები
**იაკობ გოგებაშვილისა.** ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იპყრობს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ას სტატიას საჟურნალოს და საგაზეთოს ღირს **ერთ მანეთად.** ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში ,,წერა-კითხვის საზოგადოებისა.‘‘

საზღვარ-გარეთის შამპანური ღვინოები ყველა ცნობილ და გავრცელებულ მარკებისა შეიძლება იყიდოთ
**მ. ნაზარბეგოვის** საწყობში

,,პიპერ—ჰეიდციკი‘‘
,,მუმი‘‘,
,,ლუირედერერ‘‘
,,მონოპოლ—ჰეიდციკი‘‘
,,პომბერისეკი‘‘, ,,მოეტ და შანდონ‘‘

ოლრი-რედერერ-კრისტალ
გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა.
აბრაუ—დიურსო
მ. ანანოვისა
და იაფი დონისა.

ეს შამპანური ღვინოები არის: **ხმელი, ნახევარ-ხმელი** და **ტკბილი.** ზოგიერთი სორტი ნახევარ-ბოთლობით. დიდი არჩევა ევროპიული ღვინოებისა, საფრანგეთის კონიაკებისა ცნობილ ფირმების: **„გრანდ-მარკის“, „რანდონის“** და სხვ. საფრანგეთის ლიკიორები; ნამდვილი კიევის „ნალივკები“ (სასმელები); სასადილო არაყები შტრიტერის და სმირნოვისა. მაღალი სორტის პორტვეინი, **ქერესი, მადერა, მალაგა, მარსალა** და ბორდოს სასადილო ღვინოები **პონტე-კანე, ბარზაკ, შატოლინელ, შაბლი** და სხვ. სამკურნალო ქინაქინის ღვინო, **ვერმუტ,** წმ. **რაფიელის და** ნამდვილი **ტოკაისა.** ვურჩევთ სასადილო მაგარ და დესერტის ღვინოებს **„გეჯუხ“** გრ ვორონცოვ-დაშკოვის მამულიდან. იყიდება ჰავანას სიგარები **„ბოკკა“, „ენრიკლა“** და **„უპმანა“.** მარტო აქ იყიდება ქალაქ რიგის ლუდი: (მარტის, პილზენის და მიუნქენის), ცნობილ ქარხნის ვალდშლესხენის. მუდამ მოგვდის ნარზანი და ესენტუკის წყლები ახალ-ახალი.

ჩვენი საწყობიდან გაყიდულმა ფრანგულმა კონიაკებმა (1 მ. 60 კ.-დან 10 მანეთამდე ბოთლი) და ევროპიულმა ღვინოებმა მაღალ ღირსებისა, სასიამოვნო გემოს და ზომიერი ფასების გამო, ყველგან შეიძინეს სახელი. მათ მალ-მალ კითხულობენ. ეს არის ახლა მიღებულია ინგლისის **პორტერი** და **ელი.** ვურჩევთ ყველას ბანანის ლიკიორს **„კუანტროს“.** ეს არის ახლა მიღებულია ახალი ომარები, საუკეთესო სარდინები, პაშტეტები, სხვადასხვანაირი ანჩოუსები, ყველი, საუკეთესო „პაიუსნი“ ხიზილალა მარტის შეკრებისა.

სხვა ქალაქებიდან დაბარებული მალე იგზავნება.

✖ ერთად-ერთი ვაჭრობა ნამდვილი ტოკაის ღვინოებისა. ✖

# იჯარით იძლევა

თავად ციციშვილების მამული ,,ზემო-საციციანოს-მთა‘‘ მდებარე თბილისის გუბერნიის სამ მაზრაში: თბილისისა, გორისა და ახალქალაქისა. მამული შეიცავს დიდ ტყეს, საძოვარს, სახნავ-სათესს, სათიბს ადგილებს, წისქვილებს, ბაღებს, დასახლებულ სოფლებს და სხვ. ზომით არის დაახლოვებით 65.000 დესეტინა.

**დაწვრილებითი ცნობების შესატყობად უნდა მიჰმართონ: სოფ. ქარელს თავ. ციციშვილების კანტორას.**

ამხ **მ. ლაღიძის** და კომპ.
ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.
თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.

ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად განწმენდილ და არჩეულ. ხილის წვენიდან თვით წყალისრულიად განწმენდილი და გამოხდილია.
წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.

მომხმარებელთ შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და კეთილი სუნნელებისა.
თფილისის გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილების შემწეობით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის

სრულიად კეთილი თვისებისა
ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.

ყველგან **წ ყ ლ ე ბ ი** მოითხოვეთ
**მ. ლაღიძისა** და კომპ. ამხან. ქარხნისა. ყურადღება მიაქციეთ ბოთლის საცობს, რომელსაც აზის ჩვენი ფირმის ნიშანი.
ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

ფირმა **„ნ. ლბოტაკი.“**
თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.
ველოსიპედები, მოტოციკლები, პატეფონები,
ავტომობილები, ფირფიტები, სასრიალოები, ლაუნ-ტენნისი, ფუტბოლი საკერავი მანქანები, ელექტრონის ზარები. ყველა ამაების საჭირო ნაწილები და კუთვნილებანი. **ავტომობილებისათვის ზეთი და საცხებელი.**
პირველხარისხოვან ფაბრიკების სავაჭრო. **ფასები კონკურენციის გარეშე.**
ფასის გადახდა **ნ ა წ ი ლ-ნ ა წ ი ლ შეძლება.**
**კატალოგები უფასოა.** ნაქონი ველოსიპედები 25 მანეთიდან.
**გუაჩიძე, სტეფანოვი და კომპ.**

# დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:
**ზაქ. პ. ფალიაშვილის:**
№ 1 „მრავალ-ჟამიერ“: მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.
№ 2. **ორი ქართული რომანსი:** ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.
№ 3. **„ქართული საეკკლესიო საგალობლები“** (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მ. 25 კ.
№ 4. **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.
№ 5. **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მ. 50 კ.
**იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში**
და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პრ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. **მთავარი საწყობი** ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა № 18.)

წიგნის მაღაზია
**,,ნოვაია რეჩ‘‘** (ახალი სიტყვა)
**ი. დ. კიკნაძისა.**
მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს.
არიგებს საჯარო, სამაწვილო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ.
სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია.
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირზოევისა, № 22.

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილებისა და მათი თანაშემწეების
# კონსულტაცია
ძლევენ რჩევას სიტყვიერათ და წერილობით, აგრეთვე არიგებენ არზებს, საჩივრებს და სხვა საჭირო ქაღალდებს.
ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდე.
ღარიბებს ფული არ ერთმევათ

# ახალი წიგნების ბიბლიოთეკა
სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 126.
ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკავოს მსურველმა წასაკითხად.
სამი დღით . . . . . 10 კაპ.
ერთი თვით . . . . . 75 კაპ.
ბედ უნდა დასტოვოს წამღებმა 1 მან.